# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 აპრილი 2007 №90 (3013) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალკაცს ნემსაძემ ხელთათმანი ესროლა



VS



## ნოდარ ახალკაცი არჩევნებზე თბილისის ამერმა წარადგინა, გიორგი ნემსაძემ კი არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა




## COME ON თუ FORZA?

მანჩესტერი მილანი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

დღეს

# ქართველებს ინტერტოტო დაუკენჭეს ჯერ ყაზახეთი და ალბათ ტობოლი, მერე ჩეხეთი

**გუშინ** შვეიცარიულ ნიონში ინტერტოტოს თასის კენჭისყრა გაიმართა და ქართულ კლუბს პირველ ეტაპზე ყაზახური გუნდი არგუნა. ჯერჯერობით არ ვიცით, საქართველოდან ვინ ითამაშებს ინტერტოტოზე — ამის სურვილი ჯერ მხოლოდ „ვიტ ჯორჯიამ" გამოთქვა. ყაზახეთის ჩემპიონატი კი გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით ტარდება და იქ უკვე ცნობილია ინტერტოტოზე გამსვლელი: კუსტანაის „ტობოლი", რომელმაც შარშან მესამე ადგილი დაიკავა.

ყაზახურ-ქართული მატჩები 23-24 ივნისსა და 30 ივნის-1 ივლისს გაიმართება — პირველი შეხვედრა ჩვენებს სტუმრად ექნებათ. თუ ქართულმა გუნდმა ეს ეტაპი გაიარა, მეორე ეტაპზე, 7-8 და 14-15 ივლისს ჩეხეთის კლუბი შეხვდება, ხოლო თუ ამ ბარიერსაც გადალახავს, მესამე ეტაპზე, 21-22 და 28-29 ივლისს ბერძნულ გუნდს შეეტოქება.

ჩეხეთიდან საინტერტოტოო ადგილს, სავარაუდოდ, „ბრნო", „ბანიკი", „პლზენი" ან „ბუდეიოვიცე" დაიკავებენ, საბერძნეთიდან კი პაოკი, „პანიონიოსი" ან ოფი.

შარშანდელ ინტერტოტოზე საქართველოდან თბილისის „დინამომ" ითამაშა — სომხურ „კილიკიას" გასცდა და ავსტრიულ „რიდთან" გავარდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ახალკაცი — პირველი ოფიციალური

## ამერმა პრეზიდენტს პირველი საპრეზიდენტო ხმა მისცა



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის 13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ერთი კანდიდატია წარდგენილი — მოქმედი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ გუშინ დაარეგისტრირა. ახალკაცი კანდიდატად საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა კი არა, ფეხბურთის კლუბმა „ამერმა" წარადგინა. გუშინ კლუბმა ფედერაციის სამდივნოს მიმართა თხოვნით, რეგისტრაციაში გაეტარებინა ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა.

— დიახ, ნოდარ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად ჩვენმა კლუბმა წარადგინა — გვითხრა „ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფორცხვერიამ — მიგვაჩნია, რომ ნოდარ ახალკაცს თავისი საპრეზიდენტო შესაძლებლობები არ ამოუწურავს, პრეზიდენტობის ორი წელი, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი მისი გეგმების განსახორციელებლად. ხოლო ეს ორი წელი მის სამომავლო საქმიანობაში გამოცდილების მხრივ მნიშვნელოვანი იქნება. როცა საკითხი ისე დადგა, რომ ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა უნდა წარგვედგინა, პრეზიდენტობის მეორე მსურველი მამუკა კვარაცხელია იყო. ჩვენ მამუკას პატივს ვცემთ, ვაფასებთ მის შრომას ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, თუმცა გვგონია, რომ ამ ეტაპზე ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობა ქართულ ფეხბურთს მეტ სარგებელს მოუტანს და რაკი იგი ჩვენ წარვადგინეთ, საპრეზიდენტო არჩევნებში „ამერი" სწორედ ნოდარ ახალკაცის მხარდამჭერი იქნება.

**კობა ინასარიძე**

# გიორგი ნემსაძე: გადაწყვეტილება საბოლოოა!

## საქართველოს ნაკრებისა და დინამოს ყოფილ კაპიტანს ახლა ფედერაციის კაპიტნობა სურს

*გადაწყვეტილება მიღებულია — საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი და ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრი გიორგი ნემსაძე ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ეს ამბავი გუშინ გია ნემსაძემ თავად გვითხრა:*

— დიახ, გადაწყვეტილება მივიღე, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ!

გია ნემსაძე საფეხბურთო საქართველოში პატივცემული კაცია. ის ფედერაციის გაძღოლას ორი წლის წინაც აპირებდა, მაგრამ გეხსომებათ მაშინდელი ვითარება — როცა საპრეზიდენტო სარბიელზე ნოდარ ახალკაცი გამოჩნდა, ნემსაძემ და სხვებმაც საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს, ხელისუფლების ფავორიტი ახალკაცი იყო და იმ უალტერნატივო-ფორმალურ არჩევნებში მან 26-დან 25 ხმა მიიღო.

13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები უკვე სხვანაირი იქნება. დღე-დღეზე თავის საპრეზიდენტო კანდიდატურას მამუკა კვარაცხელია წარადგენს, გუშინ კი ამის თაობაზე გიორგი ნემსაძემ გამოაცხადა...

— საპრეზიდენტო პროგრამაზე მუშაობას ვამთავრებ და ამ დღეებში წარმოვადგენ. სადღეისოდ კი გეტყვით, რომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა, საპრეზიდენტო არჩევნებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

— თავისი კანდიდატურა ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა უკვე ოფიციალურად წარადგინა. ამას აპირებს მამუკა კვარაცხელიაც. რამდენად რეალურია თქვენი გამარჯვების შანსი?

— გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი.

— თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში რა განსაკუთრებულ-მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ?



— ჯერჯერობით მხოლოდ ერთს გეტყვით — ნოდარ ახალკაცმა, მამუკა კვარაცხელიამ, გიორგი ნემსაძემ და ფეხბურთის ყველა ქომაგმა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის უნდა ვითანამშრომლოთ და ერთმანეთის გვერდით დავდგეთ.

— ფეხბურთის ფედერაციის რომელი სუბიექტი წარადგენს თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატურას?

— ვფიქრობ, რომ მხარდამჭერი ბევრი მყავს. დაკონკრეტებისგან ჯერ თავს შევიკავებ, თუმცა მალე ყველაფერს გაიგებთ.

შეგახსენებთ, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის იმ მსურველებს, რომლებიც საარჩევნო წეს-კანონებს აკმაყოფილებენ, თავიანთი კანდიდატურების წარდგენა 4 მაისამდე შეუძლიათ.

**კობა ინასარიძე**

# ფიფას ყველაფერი ახსოვს: მილჩენკოც

**ფიფა** პროგრამა FUTURE-ის ეგიდით 10-16 ივლისს მოსკოვში მორიგ სემინარს აწყობს, რომლისთვისაც საქართველოში ორი მოწვევა გამოგზავნა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძისთვის და ქართველ მსაჯთა ყოფილ შეფ ანატოლი მილჩენკოსთვის.

მილჩენკო და შალამბერიძე ამ პროგრამის უწინდელ სემინარზეც იყვნენ — 2005 წელს კიშინიოვში. სემინარი საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისთვისაა განკუთვნილი და მისი მიზანია, ფეხბურთის ახალი წესები კარგად გააცნოს ამ ქვეყნების წარმომადგენლებს.

საქართველოში მხოლოდ შალამბერიძეს და მილჩენკოს აქვთ ფიფას საამისო ლიცენზია, რომ ახალი წესები გააცნონ მსაჯებს, დამკვირვებლებს და კლუბებს.

**დავით თავართქილაძე**






27.04.2007 - 22-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სიონი | ჩიხურა- ვიტ ჯორჯია |
| ტორპედო-კახეთი | მეშახტე-მალაროელი |
| ამერი-ზესტაფონი | ბოხუმი-შალკე |
| დილა-ლოკომოტივი | ლოკომოტივი-მოსკვა |
| დინამო (თბ)-მერანი | ტორინო-მილანი |
| დინამო (ბთ)-ოლიმპი | |

### ინგლისი

ჩემპიონატი. XLIV ტური

ბარნლი 3:2 ვესტ ბრომვიჩი

კონფერენსლიგა

გადადებული მატჩი

რაშდენი 1:0 ნორსვიჩი

### შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXIV ტური

ფოლკირკი 0:2 სენტ მირენი

### შვედეთი

ალსვენსკა. III ტური

ბრომაპოიკარნა 1:2 გიოტებორგი

ელფსბორგი 1:1 გეფლე

გაის 1:1 იორებრო

სუპერეტა. II ტური

ბანკეფლო 0:1 იოსტერსი

სილვია 0:0 ლანდსკრონა

### უკრაინა

ვიშა ლიგა. XXIII ტური

შახტარი 2:3 დნიპრო

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. I ტური

ჰაკა 1:0 ინტერი

### იტალია

სერია B. XXXIV ტური

ჩეზენა 2:2 ალბინოლეფე

ბარი 0:1 მანტოვა

### ნორვეგია

ტიპელიგა. III ტური

სტრიომსგოდსეტი 1:1 ლილესტრიომი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

ჰანზა 1:2 კარლსრუე

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXIII ტური

სტრასბური 1:0 რეიმსი

### პორტუგალია

სუპერლიგა

XXVI ტური

ბეირა მარი 0:1 აკადემიკა

ბრაგა 0:0 სეტუბალი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XXIV ტური

სპარტა 1:0 სლავია

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 21 ტური

## დამანგრეველი ოცდამეერთე

7:1, 5:0, 4:1, 3:0 — ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდებმა საერთო ჯამში 19:2 მოიგეს, ოთხივემ დიდი ანგარიშით მიანგრია მეტოქე. არ იყო კი მოსალოდნელი? ეჭვი გვაქვს, რაც უფრო ცოტა ტური დარჩება, მით უფრო მოიმატებს ასეთი ცალკარა თამაშები: ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატში სულ ასე ხდება.

შესაბამისად, ცხრილის ზედა ნაწილში გუნდებს სამ-სამი ქულა მიემატათ, მაგრამ ვითარება იგივე დარჩა — ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საჩემპიონო მატჩი 5 მაისს რუსთავის „ფოლადზე“ იქნება, სადაც „ოლიმპი“ „დინამოს“ უმასპინძლებს. აქეთკენ კი მიდის, მაგრამ მათი მდევრები, „ამერი“ და „ზესტაფონი“ იმედს მაინც არ კარგავენ

ვიტ ჯორჯია 0:0 ბორჯომი
ოლიმპი 5:0 ჩიხურა
მერანი 1:1 ბათუმი
ლოკომოტივი 0:3 დინამო
ზესტაფონი 4:1 დილა
კახეთი 1:7 ამერი
სიონი 1:0 ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 50:6 | 52 |
| დინამო | 21 | 16 | 1 | 4 | 44:17 | 49 |
| ამერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42:13 | 46 |
| ზესტაფონი | 21 | 13 | 7 | 1 | 42:9 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 38:23 | 40 |
| სიონი | 21 | 11 | 2 | 8 | 26:17 | 35 |
| ტორპედო | 21 | 8 | 4 | 9 | 19:23 | 28 |
| ბორჯომი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:30 | 24 |
| ბათუმი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:24 | 23 |
| ლოკომოტივი | 21 | 5 | 5 | 11 | 13:29 | 20 |
| მერანი | 21 | 4 | 7 | 10 | 15:32 | 19 |
| ჩიხურა | 21 | 4 | 6 | 11 | 12:32 | 18 |
| დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 14:53 | 9 |
| კახეთი | 21 | 0 | 1 | 20 | 17:67 | 1 |

## ტკბილი ნულები

### იონანატრი 200 და ზედაც აბრეზას 100

„დილასთან“ გატანილი გოლი ზურაბ იონანიძისთვის 197-ე აღმოჩნდა უმაღლეს ლიგებში, ამ მხრივ იგი რეკორდსმენია და სამი ბურთიღა აკლია 200-გოლიან ნიშნულამდე. სეზონის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა და ძალიან გვეეჭვება, 34 წლის ფორვარდმა სასურველს ვერ მიაღწიოს. ერთიც, იონანიძემ მეორე წრეში პირველი საჩემპიონატო გოლი შეაგდო.

ამ სეზონშივე კიდევ ერთ იუბილეს ველით: „ამერის“ თავდამსხმელ სულიკო დავითაშვილს „კახეთთან“ ჰეთთრიქით 98 საუმაღლესლიგო გოლი დაუგროვდა და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, იმ მატჩშივე გააასებდა — სამჯერ ძელს მოარტყა.

ეროვნულ ჩემპიონატში 100-გოლიან ზღვარს 13 ფეხბურთელი გადასცდენია, მეთოთხმეტე კი ალბათ „აბრეზა“ იქნება.





## რა ჩაიდინეს მსაჯებმა?



„ოლიმპი“ — „ჩიხურას“ მე-17 წუთი იყო, საჩხერელთა ნახევარმცველმა გიორგი ქუცურუამ ორი ყვითელი ბარათი რომ მიიღო და გააძევეს. მეტიც, ქუცურუამ შეხვედრის მთავარ მსაჯ ლევან კვარაცხელიას თავში თავი უთავაზა. ორივე გაფრთხილება კი „ჩიხურას“ ფეხბურთელმა თანამსაჯ გურამ ჩიგოგიძის შეურაცხყოფისთვის დაიმსახურა.

*ლევან კვარაცხელია:* „ქუცურუა გვერდით მსაჯს ეკამათებოდა, რისთვისაც ყვითელი ვუჩვენე, მაგრამ არ გაჩერდა, კამათი გააგრძელა და ავტომატურად მეორე ყვითელი ვუჩვენე. ამის შემდეგ კი ქუცურუამ თავში თავი ჩამარტყა.“

*გიორგი ქუცურუა:* „რაღაც უაზრო ჯარიმა დაიდო „ოლიმპის“ სასარგებლოდ. გვერდით მსაჯთან კამათი დავიწყე, კვარაცხელიაც იქვე გაჩნდა და ყვითელი ბარათი მიჩვენა. მანამდე ვუთხარი, შემდეგ ტურს ვტოვებ და იქნებ არ გამაფრთხილო-მეთქი. ხოლო მეორე ყვითელი რომ მივიღე, კვარაცხელიასაც და გვერდით მსაჯსაც შევაგინე.

ნერვებს ავყევი და გუნდი დავაღალატე, ჩემს საქციელს არ ვამართლებ, მაგრამ მსაჯებმა თავიანთ გულებში ჩაიხედონ. რაც იმ მომენტში ჩაიდინეს, ამას საიდუმლოდ დავიტოვებ, არ ვიტყვი...“

საინტერესოა, რა იგულისხმა ქუცურუამ. იგი გასაძევებელი რომ იყო, ფაქტია, მაგრამ „მსაჯებმა რაც ჩაიდინეს“ რას ნიშნავს?..

ამ ინციდენტზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში იმსჯელებს — სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის წევრმა თემურ ღლონტმა გვითხრა, ჯერ არ დაგვიზუსტებია, როდის იქნება სხდომაო.

**ილია ნანობაშვილი**

## იმერული გოლები

ესენი „ზესტაფონის“ ბრაზილიელები არიან — 26 წლის ედსონ ოლივეირა დოს სანტოსი და 23 წლის ჟონატას ოლივეირა ტორესი. ამათ გორის „დილას“ ორი გოლი გაუტანეს და საერთოდაც, ლიდერებს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ორივე და მათი თვისტომი ვიეირა ურიგოდ არ გამოიყურებიან ფერულ გუნდში.

ტორესმაც და სანტოსმაც „დილასთან“ თავიანთი პირველი ზესტაფონური გოლები გაიტანეს, ამ დროს კი იმერეთის პატარა ქალაქის სტადიონზე ბრაზილიის ოთხფერა დროშა ფრიალებდა.



ბრაზილიური „კარნავალი“ ზესტაფონში: დოს სანტოსი და ტორესი

## ვემსახურები საქართველოს და ფეხბურთს!

### ე მაგ ბლუთუსში ფინფყარო იყო?



„ამერთან“ მატჩში „კახეთის“ განაცხადში ოდენ 15 ფეხბურთელი იყო. სხვა სიტყვებით, თელაველებს შემადგენლობის შევსებამდე სამი მოთამაშე დააკლდათ და უფრო ნაკლებნიც იქნებოდნენ, დიმიტრი გერგიშვილი წინა დღეს რომ არ დაბრუნებულიყო რეზერვისტთა ბანაკიდან...

ტრიბუნაზე კი... დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, რომ „გივი ჩოხელზე“ საქომაგოდ მისულ გულშემატკივართა რაოდენობა გუნდის წაგებათა რაოდენობის უკუპროპორციულია. ხოლო ამ ტურში სტადიონზე მისულ ქომაგთა მცირე რიცხვს ალბათ ის ორი ახალგაზრდაც უნდა გამოვაკლოთ, სტადიონზე რომ იყვნენ, მაგრამ მოედნისკენ ზურგშექცევით ისხდნენ და ბლუთუსით ერთმანეთისგან მობილურის მუსიკას იწერდნენ.




სიმბოლური ნაკრები

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 15-იაშვილი | დინამო |
| 13-ზოზია | ზესტაფონი |
| 10-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| დავითაშვილი | ამერი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| წინამძღვრიშვილი | ამერი |
| ზ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ფეიქრიშვილი | დინამო |

**ოცდამეორე ტური**

27 აპრილი, პარასკევი

ბორჯომი – სიონი
ტორპედო – კახეთი
ამერი – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
დინამო – მერანი
ბათუმი – ოლიმპი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია

# იაშკას წყენა არ მინდოდა



კვირას გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ქართული დერბი იყო: იაშვილ-ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი" — ლომაია-აშვეთიას „კარლ ცაისი". ოთარ ხიზანეიშვილს და მიხეილ აშვეთიას ტრავმების გამო არ უთამაშიათ, ალექსანდრე იაშვილი და გიორგი ლომაია კი სრულად გაისარჯნენ და 52-ე წუთზე მათი დუელიც შედგა. იენელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანის დარტყმა ფრაიბურგელთა შტატიანმა პენალტისტმა იაშვილმა ითავა, მაგრამ ლომაიას ვერ აჯობა. საერთოდაც, გიორგიმ საიმედოდ ითამაშა, პენალტის გარდა რამდენიმე რთული ბურთიც მოიგერია და კარგი შეფასებაც დაიმსახურა. გუშინ ლომაიას იენაში რომ შევეხმიანეთ, ჯერ თერთმეტმეტრიანზე შევეხუმრეთ...

— რას ერჩოდი იაშვილს, რატომ აულე პენალტი...

— იაშკას შემოვევლე, მაგრამ რა მექნა, სხვა გზა არ მქონდა. „კარლ ცაისს" ძალიან უჭირს, ჩვენთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. იმ მომენტში 1:0 ვიგებდით და რომ გამეშვა, მერე იქნებ წაგვეგო კიდეც.

— იაშვილს კარგად იცნობ, იცოდი, საით და როგორ დაარტყამდა?

— ნამდვილად არ ვიცოდი. თერთმეტი მეტრიდან ძლიერად და ზუსტ დარტყმულ ბურთზე რეაგირება ძნელია, ამიტომ წინასწარ მარტო ის ვიცოდი, მე საით გადავხტებოდი, იაშვილმა კი სწორედ იქით დაარტყა — მაგრად გამიმართლა.

— გერმანული პრესის ცნობით, კაიძალი დატვირთვა გქონდა...

— მთელი თამაში გვიტევდნენ, მაგრამ კონტრშეტევებზე დავიჭირეთ. მარტო მე კი არა, მთელ გუნდს გაგვიმართლა.

— ფრანც ნოიბარტის მოსვლის შემდეგ ორივე მატჩი მოიგეთ, ბევრი რამ შეცვალა გუნდში?

— ორივე მატჩი განსხვავებული ტაქტიკით გვათამაშა — აუე-სთან აქცენტი შეტევაზე იყო, „ფრაიბურგთან" კი დაცვიდან ვითამაშეთ. კარგი მწვრთნელი ჩანს, თუმც მე უფრო მეკარეთა მწვრთნელებთან მიხდება ურთიერთობა.

— ნოიბარტი ქართულ ფეხბურთსაც უნდა იცნობდეს...

— „ვერდერში" თამაშისას თბილისშია ნამყოფი. მაშინ უეფას თასიდან „დინამო" გამოაგდეს. ჩვენთან საუბარში გაიხსენა კიდეც ეს ამბავი.

— „კარლ ცაისს" დავუბრუნდეთ. მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად ძნელი ბრძოლა მოგიწევთ, კალენდარიც არცთუ სახარბიელო გაქვთ...

— ორი თამაში შინ გვაქვს, ორიც — სტუმრად. საშინაო მატჩები ბუნდესლიგაში გადასვლის პრეტენდენტებთან, „დუისბურგთან" და „კაიზერსლაუტერნთან" დაგვრჩა, გასვლაზე კი ჯერ კონკურენტ „ბურგჰაუზენს" ვხვდებით, მერე, ბოლო ტურში უმოტივაციო „აუგსბურგს". ძალიან ძნელი თამაშები იქნება და წინასწარ ვერავინ ვერაფერს იტყვის, აქ ხომ ისეთი ჩემპიონატია, ვინ ვის მოუგებს, ძნელი გამოსაცნობია. არც ის ეგონათ, რომ „ფრაიბურგთან" მოვიგებდით. ასე რომ, ხელები არ ჩამოგვიშვია. ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

— რუსეთში შენს სავარაუდო დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ...

— გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. თუ „კარლ ცაისი" არ გავარდა, არ არის გამორიცხული, აქ დავრჩე, რეგიონალლიგაში თამაში კი ნამდვილად არ მინდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნუკრი რევიშვილი ძირითადს უბრუნდება



**ბოლო** დროს ისე ხდებოდა, რომ ეროვნული გუნდის მეკარეებს თავიანთ გუნდებში სათამაშო პრაქტიკა აკლდათ. თუმც ბოლო დროს მდგომარეობა გამოსწორდა — გიორგი ლომაია მუდმივადაა იენის „კარლ ცაისის" ძირითადში, ბოლო ორი ტურია, ყაზანის „რუბინის" სასტარტოში გამოჩნდა ნაკრების კიდევ ერთი მეკარე ნუკრი რევიშვილიც. გასულ უქმეებზე რამენსკოეს „სატურნთან" 0:1 წაგებულ მატჩში გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" ჩვენებური რუბინელთა საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

„ალექსანდრ კოლინკო ბოლო დროს დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა, ძალიან ბევრი ბურთი გაუშვა. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ვარჯიშებზეც უკეთ გამოვიყურებოდი და ვგრძნობდი, რომ მალე ძირითადში ვიქნებოდი. ასეც მოხდა, ორი ტურია, სასტარტოში ვარ და მწვრთნელიც კმაყოფილია ჩემი თამაშით. „სატურნთან" გაშვებულ ბურთში ბრალი ნამდვილად არ მიმიძღვის, ჩესნაუსკისმა მთელი გუნდი მოატყუა და აუღებელი დამირტყა. გოგიტა გოგუასა და ანდრეი კარიაკას კი ძნელი ბურთები ავუღე. ყველაფერი ეს კარგ დროს მოხდა, სათამაშო პრაქტიკა ახლა ძალიან მჭირდება" — გვითხრა გუშინ რევიშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კალიარი 3:1 | 86 | გააძევეს | 15 | 1 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | კოტბუსი 2:0 | 17 | შეცვლაზე შევიდა | 25 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | შ | ესენი 0:0 | 0 | | 24 | 3 | 9 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | ს | ფრაიბურგი 3:1 | 90 | პენალტი აილო, გაფრთხ. | 11 | 0 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | ფრაიბურგი 3:1 | 0 | | 11 | 4 | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლ ცაისი 1:3 | 90 | პენალტი გააცუდა | 27 | 9 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლ ცაისი 1:3 | 0 | | 11 | 1 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუხენ 1860 | შ | კიოლნი 3:1 | 90 | 1 გოლი | 15 | 1 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ფულემი 1:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ჰერენვენი 3:1 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 28 | 16 | 1 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ვორსკლა 1:1 | 0 | დუბლებში ითამაშა | 4 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ვორსკლა 1:1 | 0 | დუბლებში ითამაშა | 6 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ვორსკლა 1:1 | 0 | დუბლებში ითამაშა | 5 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | მ. ზაპოროჟიე 0:2 | 0 | | 15 | 2 | 11 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | ზარია 1:2 | 62 | შეცვალეს | 12 | 2 | 10 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 2:0 | 90 | | 18 | 4 | 8 |
| ირაკლი მოდებაძე | მ . ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 2:0 | 0 | სათადარიგო | 17 | 3 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | შახტარი 3:2 | 90 | | 18 | 4 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | ს | შახტარი 3:2 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | მეტალისტი 0:3 | 78 | შეცვალეს | 23 | 11 | 9 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | მეტალისტი 0:3 | 22 | შეცვლაზე შევიდა | 19 | 1 | 9 |
| გიორგი ქელიძე | ზარია | შ | არსენალი 2:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 1 | 14 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | ილიჩევეცი 2:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 0 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | ს | ჩერნომორეცი 1:2 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 16 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | შ | რუბინი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 11 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | სატურნი 0:1 | 76 | შეცვალეს | 3 | 0 | 16 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | სატურნი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 16 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | სპარტაკი 0:1 | 84 | შეცვალეს | 5 | 0 | 12 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ნალჩიკი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 13 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | ლოკომოტივი 0:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 13 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | პაოკი 3:1 | 90 | | 17 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ოფი 4:1 | 90 | ავტოგოლი | 21 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# აშვეთია გოლებზე და დუისბურგზე ფიქრობს

**ორკვირიანი** უქმობის შემდეგ იენის „კარლ ცაისის" ქართველმა ლეგიონერმა მიხეილ აშვეთიამ ვარჯიში განაახლა. „ფიურტთან" მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ ჩვენებურს ორი თამაშის გამოტოვება მოუხდა, ახლა კი უკვე მომდევნო შეხვედრაზე ფიქრობს და „დუისბურგთან" მატჩისთვის ემზადება:

„ვარჯიში უკვე დავიწყე, ფეხი აღარ მტკივა. ერთადერთი პრობლემა გაცდენილი დროა. ვფიქრობ, „დუისბურგთან" თამაშამდე სრულ მზადყოფნაში ვიქნები და „კარლ ცაისს" მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში გოლებით დავეხმარები" — გვითხრა აშვეთიამ.

ჩვენებურს არც ის აშინებს, რომ მისი უქმობის დროს იენელებმა ორივე თამაში მოიგეს, თანაც ახალი მწვრთნელის ხელში. როგორც წესია, ამ დროს მწვრთნელი გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლის, თან ფრანც ნოიბარტს ქართველი შემტევი ჯერ საქმეში არ უნახავს.

„მართალია, ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ თუ ხუთ-ექვს დღეში იმ ფორმას მაინც მივუახლოვდი, როგორიც ტრავმამდე მქონდა, იმის შიში აღარ მექნება, რომ ძირითადში ადგილს დავკარგავ" — დასძინა თავდამსხმელმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს

მანჩესტერი. „ოლდ ტრაფორდი“. 22:45 საათი

**მანჩესტერი (ინგლისი) — მილანი (იტალია)**

სავარაუდო შემადგენლობები:

მანჩესტერი: ვან დერ სარი — ფლეტჩერი (ან ნევილი), ოში, ბრაუნი, ჰაინცე — რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი — რუნი, სმიტი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მილანი: დიდა — ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი — გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი — კაკა — ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

დისკვალიფიცირებულნი:

მანჩესტერი: არავინ; მილანი: არავინ

ურთიერთშეხვედრები:

| | | |
|---|---|---|
| 08.05.1958 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მანჩესტერი 2:1 მილანი |
| 14.05.1958 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მილანი 4:0 მანჩესტერი |
| 23.04.1969 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მილანი 2:0 მანჩესტერი |
| 15.05.1969 | ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი | მანჩესტერი 1:0 მილანი |
| 23.02.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი | მანჩესტერი 0:1 მილანი |
| 08.03.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი | მილანი 1:0 მანჩესტერი |


კარლო ანჩელოტი


ჯო ჯორდანი


ალექს ფერგიუსონი

AFP

# მე რომ კარლო ანჩელოტი ვიყო...

## მანჩესტერის წამქცევი მანჩესტერელი მილანელი ამხედრს: აი, ასე უნდა წააქციო მანჩესტერი

**„მანჩესტერი“** დასუსტებული დაცვით დახვდება „მილანს“ და ალექს ფერგიუსონის მთავარი საფიქრალიც ესაა.

ნემანია ვიდიჩი და მიკაელ სილვესტრი კარგა ხნის წინ დაშავდნენ. ახალმომჯობინებულმა რიო ფერდინანდმა „მიდლსბროსთან“ შეხვედრაში მიიღო ტრავმა, გარი ნევილის თამაში კი ჯერაც საეჭვოა. თუ მან გამოკეთება ვერ მოასწრო, ადგილს დარენ ფლეტჩერს დაუთმობს.

პრობლემების მიუხედავად, ალექს ფერგიუსონი იმედიანადაა.

„წუწუნის დრო არ არის — თქვა შოტლანდიელმა მწვრთნელმა — პირიქით, ახლა უნდა ვაჩვენოთ მთელი ჩვენი ძალა. ისტორიულადაც ცნობილია, რომ ინგლისურ კლუბებს გასაჭირში ყურები არ ჩამოუყრიათ. ესაა სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი ჩვენთვის და მთელი მონდომებით უნდა ვითამაშოთ.“

მანჩესტერელის კოლეგა კარლო ანჩელოტის აზრით კი, ფერგიუსონის გუნდი, კრიშტიანუ რონალდუს თამადობით, ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს.

„ცხადია, უფერდინანდოდ გაუჭირდებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, საუცხოო შემტევები ჰყავთ — აღნიშნა იტალიელმა — ჩვენ უნდა ვცადოთ ბურთის გაკონტროლება, თუმც იმავდროულად მეტოქის კონტრშეტევებს ვუფრთხილდეთ, განსაკუთრებით, უსწრაფეს რონალდუს და უეინ რუნის. ასეთ მატჩებში სიმშვიდე და ნებისყოფაა საჭირო — ეს თვისებები კი ჩემს გუნდს აქვს, უპირველეს ყოვლისა, პაოლო მალდინის. სხვა ფეხბურთელებიც საკმაოდ გამოცდილები არიან.“

პაოლო მალდინი: „ბოლო წლებში „მანჩესტერი“ აშკარად მოღონიერდა. რუნი და რონალდუ კი ძალიან შთამბეჭდავად თამაშობენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში კიდევ ერთხელ გასვლის შესაძლებლობაზე რომ ვფიქრობ, მეც ვძლიერდები.“

რაც შეეხება დიდას, იტალიური მედიის ცნობით, ბრაზილიელმა მეკარემ მხრის ტრავმა მოიშუშა და „ოლდ ტრაფორდზე“ ითამაშებს.

ძირითად შემადგენლობაში იქნება ალბერტო ჯილარდინოც, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნთან“ მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

„მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი კი კარლო ანჩელოტის ამხნევებს, გუნდში მისი პოზიცია ურყევია და შეუძლია, მშვიდად იყოსო.

„მწვრთნელის საკითხი საერთოდ არ განიხილება. ანჩელოტისთან პრეტენზიები არ გვაქვს. შარშანდელი უსამართლო სასჯელის მიუხედავად, სერია A-ში მეოთხე ადგილს ვუწიეთ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც ვართ. „მილანი“ მუდამ „მილანია“ და როცა ტრავმირებულები არ გვყავს, გუნდი ყოველთვის დიდებულად თამაშობს. სამწუხაროა, რომ რონალდო ჩემპიონთა ლიგაში ვერ გვეხმარება — ის არა მარტო დიდებული მეგოლეა, არამედ კარგი გამთამაშებელი და მეპასეცაა. ვფიქრობ, ფინალში გავალთ და ჩვენი ქვეყნის ღირსებას დავიცავთ“.

ხოლო შოტლანდიელმა ჯო ჯორდანმა, რომელსაც „მანჩესტერშიც“ უთამაშია და „მილანშიც“ (ახლა „პორტსმუთში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწეა), განაცხადა, რომ მილანელებს „ოლდ ტრაფორდზე“ მოგება შეუძლიათ და თან ახსნა, ეს როგორ უნდა გააკეთონ.

ამას წინათ „პორტსმუთმა“ შინ 2:0 სძლია „მანჩესტერს“ და „ილ ჯორნალესთან“ ინტერვიუში ჯორდანმა ბრძანა: „მთელი თამაშის განმავლობაში ვუტევდით და ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცით მეტოქეს. ერთი წამითაც არ მოვდუნებულვართ. მხოლოდ ასე თუ მოახერხებ „მანჩესტერთან“ გამარჯვებას. ალექს ფერგიუსონის გუნდი მუდმივი წნეხის ქვეშ უნდა გყავდეს — სხვანაირად ვერას გახდები. ანჩელოტის ადგილზე მე „ოლდ ტრაფორდზე“ 4-4-1-1 სქემით, ხოლო „სან სიროზე“ 4-4-2-ით ვითამაშებდი, თუმცა, რაც უნდა პრესინგს მიმართო, საწყის ოც წუთში „მანჩესტერი“ ყველასთან მგელივითაა, რომელიც პირდაპირ ყელში სწვდება მსხვერპლს და „მილანსაც“ ამ მონაკვეთში მართებს ყველაზე მეტი სიფრთხილე. „რომამ“ მანჩესტერში ტაქტიკურად არასწორად ითამაშა, „მილანი“ კი ამას არ იზამს.“

ჯო ჯორდანი 1981 წელს გადავიდა „მანჩესტერიდან“ „მილანში“ და 50 ათას გირვანქას იღებდა... წელიწადში.

**ვაჟა ხუციშვილი**


მილანელები მანჩესტერს შედარებით ნაკლები პრობლემებით ესტუმრნენ


რაიან გიგზს და გაბრიელ ჰაინცეს მოსუსტებული დაცვა აფიქრებთ

AFP

# რონალდუბლი!
## პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა საუკეთესოა




**ინგლისის** პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ საუკეთესო პრემიერლიგელად კრიშტიანუ რონალდუ დაასახელა. მეორე ადგილი დიდიე დროგბას ერგო, მესამეზე კი პოლ სქოულზია.

22 წლის პორტუგალიელი ახალგაზრდებს შორისაც პირველი გახდა და ამ ნომინაციაში ფრანსესკ ფაბრეგასს და აარონ ლენონს აჯობა.

დაჯილდოების 33-წლიან ისტორიაში კრიშტიანუ რონალდუ მეშვიდე მანჩესტერელია, რომელიც ასოციაციამ აღიარა. აქამდე ჯილდოები მიიღეს მარკ ჰიუზმა, გარი პალისტერმა, ერიკ კანტონამ, როი კინმა, ტედი შერინგემმა და რუუდ ვან ნისტელროიმ.

„ეს დიდი პატივია — ხარობდა პორტუგალიელი — მე კოლეგებმა მაღიარეს, რომლებმაც სხვებზე უკეთ იციან ფეხბურთი და ეს უფრო საამაყოა. მომავალში უკეთესად უნდა ვითამაშო, რადგან ჯილდო მოტივაციას მმატებს.“

ალექს ფერგიუსონმა კი თქვა: „ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა და მისი პროგრესი აშკარაა. ვფიქრობ, ამჟამად მსოფლიოში ყველას სჯობს.“

და აქვე ასოციაციის სიმბოლური ნაკრებიც: *ედვინ ვან დერ სარი, გარი ნევილი, ნემანია ვიდიჩი, რიო ფერდინანდი, პატრის ევრა, რაიან გიგზი, პოლ სქოულზი, კრიშტიანუ რონალდუ (ყველა მანჩესტერი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), დიდიე დროგბა (ჩელსი), დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი).*

**ვაჟა ხუციშვილი**

# მივდივარ და მომენატრებით
## ბექემი ისევ ცოცხალია


AFP

**ახლა** მისთვის ზუსტად ისეთივე სიტუაციაა, როგორც 1998 წლის მუნდიალის შემდეგ გახლდათ, როდესაც ინგლისში ანტიგმირად იქცა, ან კიდევ 2007 წლის იანვარში, როცა ფაბიო კაპელომ „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ წინასწარ გაფორმებული კონტრაქტის გამო გუნდიდან მოკვეთა...

გამოჯანმრთელებული დევიდ ბექემი ფეხბურთს შაბათს, „ვალენსიასთან“ შეხვედრაში დაუბრუნდა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ კვლავ ცდებიან ისინი, ვინც სხვა თვალით უყურებს ბექხს.

ინგლისელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 65-ე წუთზე გამოჩნდა და მატჩის ბედის შემოტრიალება შეძლო — ბექემის შესანიშნავმა გრძელმა ჩაწოდებებმა „რეალს“ „ლამურებთან“ ომი მოაგებინა.

ბექჰი „რეალს“ ამ სეზონის ბოლოს დატოვებს. იქამდე 7 ტურია, რომლებშიც დევიდმა ისევ უნდა გამოიჩინოს თავი — მას ხომ მადრიდიდან ღირსეულად წასვლა სურს.

„ვაღმერთებ ამ კლუბს და სანამ აქ ვარ, „რეალისთვის“ ყველაფერს გავაკეთებ. მინდა, გუნდი უკანა კარიდან კი არა, ღირსეულად დავტოვო. „ბერნაბეუზე“ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია. მადრიდელი ფანობა ძალიან მომენატრება“ — განაცხადა ინგლისელმა „სკაი სპორტთან“ ინტერვიუში.

ბექემი თვლის, რომ ტრავმის გამო ფეხბურთთან ამდენი ხნით ჩამოცილება და თან მაშინ, როცა მწვრთნელის ნდობა მოიპოვა და გოლებიც შეაგდო, ფრიად უსიამოვნო იყო მისთვის, თუმცა...

„რა გაეწყობა, ფეხბურთი ასეთია“ — ამბობს იგი — კლუბის უფროსობასთან გარკვეული უთანხმოებანი მქონდა, თუმცა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ახლა მხოლოდ „რეალის“ ჩემპიონობა და ამ გუნდის ღირსეულად დატოვება მინდა“.

**ლადო ხომერიკი**

# მილიარდი ევროპული ლვოვისთვის

**იმისათვის**, რათა ლვოვმა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მატჩებს ღირსეულად უმასპინძლოს, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ლვოვის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ერთ მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯება — დაწერეს გუშინ უკრაინულმა და პოლონურმა სააგენტოებმა.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2012 უკრაინასა და პოლონეთის ოთხ-ოთხ ქალაქში გაიმართება და მზადება უკვე გახურებულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეუსებიო გაჭრეს და გაკერეს

**ლისაბონში** 65 წლის ეუსებიოს საძილე არტერიაზე ოპერაცია გაუკეთეს.

ჰოსპიტლის პრესმდივანმა განაცხადა, რომ პაციენტი ახლა თავს კარგად გრძნობს: „ეუსებიო უკვე მოინახულეს ოჯახის წევრებმა და სამ-ოთხ დღეში ალბათ გავწერთ კიდეც“.

ოპერაცია ქირურგმა ჟერმანო დუ კარმომ ჩაატარა ახალგახსნილ ჰოსპიტალში.

ლეგენდარულ, წარმოშობით მოზამბიკელ ეუსებიოს კარიერაში 1000-მდე გოლი გაუტანია ლისაბონის „ბენფიკასა“ და პორტუგალიის ნაკრებში.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შოტლანდიამ იაპონია თქვა

**შოტლანდიის** პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად გლაზგოს „სელტიკის“ იაპონელი ლეგიონერი შუნსუკე ნაკამურა დაასახელა.

ნაკამურა „კილმარნოკთან“ მატჩიდან ერთი საათის შემდეგ დააჯილდოვეს, ამ შეხვედრაში მან 90-ე წუთზე „სელტიკის“ საჩემპიონო გოლი გაიტანა.

წლის მწვრთნელად კი ამავე გუნდის თავკაცი გორდონ სტრაჩანი აღიარეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




## მეთოფე ვიცეს ეძებს

**„გარდიანი“** წერს, რომ ლონდონის „არსენალი“ დევიდ დინის შემცვლელის ძიებაში ჟერარ ულიეს და დემიენ კომოლის მიადგა. ულიე ამჟამად „ლიონის“ მწვრთნელია, ხოლო კომოლი — „ტოტენჰემის“ სპორტული დირექტორი.

შეგახსენებთ, რომ დინი ერთი კვირის წინ თავისი ნებით წავიდა ვიცე-თავმჯდომარის პოსტიდან. მას ფეხბურთელების სელექციაც ევალებოდა.

## მაურინიოს წაუყენეს

**„ჩელსიში“** ადგილის შესანარჩუნებლად ჟოზე მაურინიომ ოთხი პირობა უნდა შეასრულოს — წერს THE PEOPLE.

ეს პირობები პორტუგალიელს რომან აბრამოვიჩმა წაუყენა: 1. მჭიდროდ ითანამშრომლოს სპორტულ დირექტორ ფრენკ არნესენთან; 2. შეამციროს მედიასთან თვითრეკლამა; 3. არასდროს გააკრიტიკოს კლუბის ხელმძღვანელობა და პოლიტიკა; 4. „ჩელსიმ“ ითამაშოს სანახაობრივი ფეხბურთი.

## მოვიშოროთ ადრიანო!

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის“ ვერსიით, შესაძლოა, ინტერელი ადრიანო ლონდონის „არსენალში“ აღმოჩნდეს. ბრაზილიელი ფორვარდის ჭირვეულობამ „შავ-ლურჯების“ შეფები დაღალა და უკვე მის გაყიდვაზე ფიქრობენ.

ადრიანოთი „ფიორენტინაცაა“ დაინტერესებული, მაგრამ „იები“ იმხელა ჯამაგირს ვერ გადაუხდიან, რამხელასაც „არსენალი“.

## ბრძოლა ბერბატოვის გამო

**ტოტენჰემელი** დიმიტარ ბერბატოვის გამო ამ ზაფხულს „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ იჭიდავებენ — წერს „სანდი მირორი“. ორივე კლუბი „მამლებს“ ბულგარელი ფორვარდის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს სთავაზობს.

„ნიუს ოფ ზე ვორლდი“ ამტკიცებს, რომ „მანჩესტერი“ ფულთან ერთად ლუის საასაც დათმობს. ბერბატოვის აგენტმა კი ამას წინათ თქვა, ჩემი კლიენტი მომავალ სეზონსაც „ტოტენჰემში“ გაატარებს და მერე ვნახოთო.

## ბრაიდამ ბანეგე იპოვა

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველი ევერა ბანეგა, შესაძლოა, „მილანში“ აღმოჩნდეს — წერს „კონტროკამპო“.

18 წლის ფეხბურთელის თამაში ძალიან მოსწონს მილანელთა სატრანსფერო საქმეების შეფ არიედო ბრაიდას, რომელიც ბოლო დროს ხშირად ჩადის სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერი ბიჭების მოსაძებნად.

## ბეტეგამ სენდეროსი შეამოწმა

**იტალიური** „ტუტოსპორტის“ ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ მზადაა, ფილიპ სენდეროსის სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გადაიხადოს.

იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა შვეიცარიელი მცველის სანახავად რამდენჯერმე ყოფილა ლონდონის „არსენალის“ მატჩზე და სავარაუდო შესაძენთა ნუსხაში სენდეროსის გვარიც შეუტანია.

## კაფუ მაინც გრძელდება

**იტალიური** მედიის ცნობით, კაფუ „მილანთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას არ გამორიცხავს...

„ადრიანო გალიანიმ მითხრა, რომ შეგვიძლია, ახალ ხელშეკრულებაზე ვილაპარაკოთ. ეს ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის. ამ კვირის ბოლომდე კიდევ ერთხელ შევხვდებით და ყველაფერს გავარკვევთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 ივლისის მოლოდინში

## ამაყი ჟოზე თავისას არ იშლის: მუშაობს, იკბინება, ლაპარაკობს




**ჟოზე მაურინიუმ** თქვა, თუ მომხსნიან, მომხსნან, არ მენაღვლებაო...

რა გამოვიდა, ერთ დღეს ერთს წერენ და მეორე დღეს მეორეს, არა? მართალი ბრძანებაა, მაგრამ როდესაც სინამდვილეში თავი ქუდში გაქვს, ასეც იტყვი კაცი.

შეგახსენებთ: კვირას, „ჩელსის" „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩამორჩენის ერთ ქულამდე შემცირება შეეძლო. ამისათვის მას ნიუკასლში უნდა მოეგო, მაგრამ „კაჭკაჭებმა" გავეშებული წინააღმდეგობა გაწიეს და „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ლონდონელებს ორი ქულა დაატოვებინეს. პორტუგალიელი მწვრთნელის კომენტარი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, უკვე ამ თამაშის შემდგომ და ბოლო რეალობის გათვალისწინებით არის გაკეთებული.

„დირექტორატი აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს — თქვა მაურინიუმ — ჩემი გაშვებაც მათი უფლებაა. კვირას მანჩესტერელებს ვერ დავეწიეთ, მაგრამ ვფიქრობ, რასაც ვაკეთებთ, ისედაც დიდი მიღწევაა. ჩვენ ხომ ახალი წესების შესაბამისად გვიწევს მოქმედება, ეს წესები კი ასეთია: „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჩვენი მოწინააღმდეგეების კარში პენალტებს აღარ ნიშნავენ. ეს ფაქტია, არ გეგონოთ, შეთქმულების თეორიებით ვლაპარაკობდე. მე პრაგმატიკოსი კაცი ვარ და, რასაც ვხედავ, იმით ვხელმძღვანელობ".

შეგახსენებთ, რომ ლონდონელთა მეპატრონემ, რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა ერთი ხნის წინ ამერიკაში მცხოვრები გერმანელი მწვრთნელის, 42 წლის იურგენ კლინსმანის გადასაბირებლად ლოს ანჯელესში გვარიანი დელეგაცია აფრინა და ყოფილ ფორვარდს ჯერ 6,4, ხოლო შემდეგ 7 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ კლინსმანმა უარს უარი მიაყოლა. ამის შემდეგ ლონდონელებმა თითქოს უკან დაიხიეს, ისევე, როგორც თავად მაურინიუმ, რომელმაც, რამდენადაც ინგლისური პრესა წერს, დირექტორატს ახალი გენერალური დირექტორისა და რამდენიმე მწვრთნელის მოყვანაზე დაუქნია თავი.

მაურინიუ: „რაც მითხრეს, მჯერა. მათ პირდაპირ გამომიცხადეს, რომ ჩემი ღვაწლით და გაწეული შრომით კმაყოფილები არიან. ჩემთვის ეს ყოველგვარი ჭორაობის და ორაზროვნების დასასრულია. ბევრჯერ მითქვამს, რომ ძალიან მინდა „ჩელსიში" დარჩენა და ამიერიდან მომავალზე ვიწყებ ფიქრს. ასეთ რამეს ხომ დირექტორატი ყოველდღე არ გეუბნება. მესმის, ამის თქმა მათთვის იოლი არ იყო, მაგრამ არც იმდენად ძნელი ყოფილა. ჩვენ ერთად ვმუშაობთ და ვინაიდან ეს სეზონი უკვე დასასრულს უახლოვდება, მომავალი სეზონის მოსამზადებელ პერიოდს, ანუ არდადეგების დასრულებას, 9 ივლისს ველი მოუთმენლად. მე „ჩელსისთან" კონტრაქტი მაკავშირებს და ამით ყველაფერი ნათქვამია. მე ბედნიერი ვარ".

და შემდეგ საუბარი ისევ მიმდინარე შეჯიბრებას შეეხო:

„გასულ ოთხშაბათს და შაბათს ყველამ ვნახეთ, რომ „ოლდ ტრაფორდზე" „მანჩესტერის" წინააღმდეგ პენალტებს არ ნიშნავენ, არადა, სეზონი მთავრდება და ჩვენ ყველანი ქულებზე ვლაპარაკობთ. მეორე მხრივ, თუ ათი კვირის წინანდელ სიტუაციას გავიხსენებთ და დღევანდელს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს. „ნიუკასლი" ქულას იმსახურებდა".

**ბაკუნა ქედია**




# ქამონ არსენალ! თქვენო უდიდებულესობავ

**რას** არ გაიგებ კაცი: ბრიტანეთის დედოფალი აგერ უკვე 50 წელიწადია, „არსენალის" ფანიაო, წერენ ინგლისური ჟურნალ-გაზეთები, ოღონდ ამით არ კმაყოფილდებიან — მისი უდიდებულესობა დედამისის, აწ განსვენებული დედა დედოფლის ნაკვალევს გაჰყოლია. თურმე ის ცხონებული ყოფილა „მეთოფეთა" თავგადაკლული ქომაგი.

საინტერესოა, რომ 81 წლის განმავლობაში (მისი უდიდებულესობა 1926 წლის 21 აპრილს გახლავთ დაბადებული) ელისაბედ მეორეს უამრავჯერ გადაუცია ჯილდო ამა თუ იმ ფეხბურთის გუნდისთვის, მაგრამ პირადი სიმპათიის შესახებ არასდროს წამოცდენია და აი, ერთი ხნის წინ, ბუკინგემის სასახლეში „არსენალს" უმასპინძლა და საიდუმლო იქ გაამხილა.

იმ საღამოს მისი უდიდებულესობა 19 წლის ესპანელ ფეხბურთელს სესკ ფაბრეგასს პირადად ესაუბრა (ბევრ თქვენგანს უსაუბრია მეფესთან ან დედოფალთან?) და როგორც აღფრთოვანებულმა მოთამაშემ თქვა, საუბრის თემა ესპანეთის ხელმწიფე ხუან-კარლოსი გახლდათ.

ფაბრეგასმა ესპანეთის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „როგორც შევატყვე, დედოფალი საფეხბურთო საქმეებში ჩინებულად ერკვევა და პირადად გვითხრა, რომ „არსენალს" ქომაგობს. მან აშკარად იცოდა, ვინ ვიყავი მე და ეს რამდენიმე სპეციფიკური ფრაზით გამოხატა".

„არსენალი" კი ბუკინგემის სასახლეში იმიტომ მოხვდა, რომ ზურგის ტკივილის გამო დედოფალმა კლუბის ახალი სტადიონი ვერ გახსნა და ამ მიწვევით გააბათილა ეს უხერხულობა.

შემდეგ მისი უდიდებულესობის ერთ-ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა:

„დედოფალი აგერ უკვე 50 წელიწადია, „არსენალს" ქომაგობს. „არსენალის" ქომაგი გახლდათ დედა დედოფალიც, რომელიც ამ გუნდს თავდაპირველად მისი ოდინდელი ვარსკვლავის, დენის კომპტონის გამო უჭერდა მხარს".

ამბობენ, რომ „მეთოფეთა" ქომაგია ელისაბედ მეორის შვილიშვილი, 22 წლის პრინცი ჰარიც, რომელიც ადრე „ჰაიბერიზე", ბოლო დროს კი „ემირატ სტედიუმზე" მრავალგზის უნახავთ.

**ბაკუნა ქედია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რუუდ ვან ნისტელროი

თავდამსხმელი

დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს ოსში
სიმაღლე: 1,88 მეტრი, წონა: 80 კგ
კარიერა: 1993-97 წლები — „დენ ბოსხი" (69 მატჩი, 17 გოლი), 1997-98 — „ჰერენვენი" (31 მატჩი, 13 გოლი), 1998-2001 — „პსვ ეინდჰოვენი" (67 მატჩი, 62 გოლი), 2001-06 — „მანჩესტერ იუნაიტედი" (130 მატჩი, 95 გოლი),
2006 წლიდან — „რეალი" (27 მატჩი, 15 გოლი)
1998-2006 წლებში თამაშობდა ჰოლანდიის ნაკრებში (54 მატჩი, 28 გოლი)
მეტსახელები: ვან ზე მენ, რუუდ ბოი, **RVN, Vantastic**, ვან გოლი






## MERCEDES ML63

გამოშვების თარიღი: 2006 წელი
სიგრძე: 4,788 მეტრი
სიგანე: 1,910 მეტრი
სიმაღლე: 1,815 მეტრი
წონა: 2 150 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 6,2
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 375 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში
ფასი: 80 000 დოლარი

# ათასი წვრილმანი მადრიდის რეალზე

**მადრიდის „რეალმა“ „ვალენსია“ დაამარცხა, პრიმერადივიზიონის ლიდერმა „ბარსელონამ“ კი „ვილიარეალთან“ წააგო და სატურნირო ცხრილში სიტუაცია ძალიან გაირთულა. ამ უქმეების შემდეგ სამეფო თეთრები მესამე ადგილზე არიან და კატალონიელებს ოდენ ორი ქულით ჩამორჩებიან. „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს „ტელემადრიდის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ...**



— უპირველესად, „ვალენსიასთან“ გამარჯვებას გილოცავთ...

— გმადლობთ. მინდა ვთქვა, რომ მადრიდის „რეალს“ ძნელ სიტუაციებში თავის ჩახრა და დანებება არ სჩვევია. გულშემატკივართა მხარდაჭერამ ძალიან გამახარა — ფანები მთელი მატჩის განმავლობაში გაჰყვიროდნენ, ერთად გავიმარჯვებთო. ვაღიარებ, რომ „ბერნაბეუ“ ხანდახან შეუბრალებელია, რადგანაც ინჩასები ზედმეტად მომთხოვნი არიან, თუმცა ხალხი მიხვდა, რომ ამ ბოლო თამაშებში მათი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია „რეალისთვის“.

— „ბარსელონამ“ კი „ვილიარეალთან“ სამი ქულა დაკარგა. ამის თაობაზე რას გვეტყვით?

— კატალონიელთა მარცხი ძალებს შეგვმატებს და ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— „ვალენსიასთან“ ტრიუმფი ძირითადად იკერ კასილიასისა და სერხიო რამოსის დამსახურებაა...

— ორივე სუპერპროფესიონალია. სიახლე არ არის, რომ იკერი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, სერხიო რამოსმა კი „ბერნაბეუს“ გული მალე მოიგო — იგი იმ ფეხბურთელთა შორისაა, რომლებიც ბოლომდე იბრძვიან და გამარჯვებისთვის თავს არ ზოგავენ.

— ფაბიო კაპელო მომავალ სეზონშიც „რეალის“ მწვრთნელი იქნება?

— კონტრაქტის მიხედვით, კაპელო კიდევ ორი წლით უნდა დარჩეს „ბერნაბეუზე“. ვნახოთ, სეზონის ბოლოს რა მოხდება. როგორც დიდ ბიზნესში ხდება ხოლმე, სეზონის ბოლოს ყველაფერს შევაჯამებთ და „რეალის“ სამწვრთნელო პრობლემებზე მერე ვისაუბრებთ.

— დონ ფაბიოს თავიდან ინჩასები გულთბილად შეხვდნენ, თუმც შემდეგ სიტუაცია შეიცვალა...

— რაც ფაბიო მოვიდა, ტრიბუნებიდან სულ სტვენა და კრიტიკა ესმის. დარწმუნებული ვარ, იგი ამას მძიმედ განიცდის, თუმცა რახან გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს და ბუნებით ოპტიმისტია, გულშემატკივართა ზეწოლას თავს ვაჟკაცურად ართმევს.

— ჯერჯერობით კაპელო მადრიდშია, თუმცა სხვა მწვრთნელებიც არ უნდა დავივიწყოთ. მაგალითად, რაფაელ ბენიტესი...

— ბენიტესთან დაკავშირებით ახალი არაფერია. ამ მწვრთნელის წარმომადგენელმა რამდენიმე თვის წინ თქვა, „რეალმა“ კონტრაქტი შემოგვთავაზაო, მაგრამ ეს ადრე იყო, ფერნანდო მარტინის პრეზიდენტობის დროს...

— და ჟოზე მაურინიუ?

— ბენიტესიც და მაურინიუც დიდი მწვრთნელები არიან, თუმცა მე კაპელო უფრო მომწონს. არ ვიცი, შეიძლება თუ არა, მას ყველაზე საუკეთესო ვუწოდოთ, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო რომ არის, ეს ფაქტია.

— ბერნდ შუსტერზე რაღას გვეტყვით?

— „ხეტაფეს“ კარგ ფეხბურთს ათამაშებს, ისეთს, როგორიც „ბერნაბეუზე“ მოსწონთ.

— ჩანს, „რეალის“ კრიზისი წარსულს ჩაბარდა...

— დიახ, ახლა შეგვიძლია, შვებით ამოვისუნთქოთ. როცა გუნდს გაუჭირდა, ყველაზე ადვილი კაპელოს მოხსნა იყო, თუმცა ამით საქმეს არაფერი ეშველებოდა და ჩვენც რისკზე არ წავედით.

— შემადგენლობას განაახლებთ?

— ახალი ფეხბურთელების მოსვლაზე უარი არასდროს არ უნდა ვთქვათ. კარგი იქნება, თუ გუნდში ახალგაზრდები ითამაშებენ, რადგანაც მათ ამბიციები უფრო მეტი აქვთ.

— ფაბიო კანავარო გუნდში დარჩება?

— ვერ გეტყვით, ის სამომავლოდაც „რეალში“ იქნება თუ არა — ეს მწვრთნელებმა უნდა გადაწყვიტონ, თუმცა პირადად ჩემთვის მისაღებია, რომ კანავარომ აქ ითამაშოს. მან აკლიმატიზაცია უკვე გაიარა და გაისად უკეთ ითამაშებს.

— რაულზე რას ფიქრობთ?

— რაული „რეალისთვის“ ნამდვილი სიმბოლოა. არა მარტო ტიტულების მხრივ უნდა დავაფასოთ ეს ფეხბურთელი, არამედ იმიტომაც, რომ „რეალის“ კრიტერიუმები — ბრძოლა, ურთიერთგატანა და მიზანდასახულობა — თავისი ცხოვრების მთავარ წესებად აქცია. რაულს არჩევანის სრული თავისუფლება აქვს: უნდა წავიდეს, უნდა დარჩეს, მის ყველა გადაწყვეტილებას პატივისცემით მოვეკიდებით. ეს იმიტომ ხდება, რომ რაულისთანა მნიშვნელოვანი ფეხბურთელები ძალიან ცოტანი არიან.

— „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა 30-ე ტურში „რასინგთან“ წაგებული მატჩის შემდეგ შეხვედრის არბიტრ ტურიენსო ალვარესის საქციელს „მეტისმეტად საეჭვო“ უწოდა...

— თუ მაშინდელ სიტუაციას გავითვალისწინებთ, მიატოვიჩის სიტყვებს შეიძლება გაგებით მოვეკიდოთ. თუმცა, როგორც უკვე იცით, „რეალმა“ ამის შემდეგ საჯაროდ განაცხადა, რომ საჭიროა, მსაჯებს დავეხმაროთ და მათ ისედაც ძნელი საქმიანობა არ გავურთულოთ. უძნელესი პროფესია აქვთ, მიკვირს კიდეც უფრო უხეშ შეცდომებს რომ არ უშვებენ.

— რუუდ ვან ნისტელროის „ვალენსიასთან“ გატანილ გოლზე რას იტყვით?

— ისეთივე გოლი იყო, როგორიც ლეო მესიმ შეაგდო „ხეტაფესთან“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვან ნისტელროიმ 9 კაცის გარემოცვაში გაიტანა.

— ამ მატჩის დროს არ გეშინოდათ, რომ შეიძლებოდა, ბედი „ღამურებისკენ“ შეტრიალებულიყო?

— „ვალენსიამ“ მუხლჩაუხრელად იბრძოლა და არ დაგავიწყდეთ, რომ კიკე ფლორესს უძლიერესი ფეხბურთელები ჰყავს... „ვალენსიასთან“ მოგებას ჩვენთვის განსაკუთრებული ფასი ამიტომაც აქვს.

— დევიდ ბექჰემმა ითამაშა დიდებულად...

— გეთანხმებით. ცუდია, რომ გვტოვებს, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში დევიდი „რეალს“ ძალიან დაეხმარა. თუმცა ბექჰემმა გადაწყვეტილება თავისი ნებით მიიღო.

— რა ტრანსფერებს უნდა ველოდით ზაფხულში?

— დარწმუნებული ვარ, ვინც მოვა, უმაღლესი დონის ფეხბურთელი იქნება. თუმცა სეზონის ბოლოს უნდა დაველოდოთ, რათა გავიგოთ, რომლები არიან „რეალისთვის“ შესაფერისი ფეხბურთელები.

— კაკას და „რეალის“ თემა უკვე ძალიან მოძველდა...

— ეს ფეხბურთელი ძალიან მომწონს, მაგრამ მასზე საუბარს ახლა არ ვაპირებ.

— და კრიშტიანუ რონალდუ?

— თუ როდესმე „მანჩესტერი“ მის გაყიდვას გადაწყვეტს, ვეცდები, რონალდუმ კარიერა „რეალში“ გააგრძელოს.




## ზიკომ მოედნის ცენტრს გახედა

ბრაზილიური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეათე ნომერი, ლეგენდარული ზიკო ამჟამად თურქეთშია და იქაურ „ფენერბაჩეს“ წვრთნის.

ჰოდა, საინტერესოა, რას ამბობს ზიკო ბარსელონელ-არგენტინელ ლეო მესიზე...

„მესი საუკეთესოა იმათგან, ვინც ბოლო წლებში არგენტინაში გამოჩენილა. ვფიქრობ, მისი ნიჭის პატრონს ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერის გაკეთება არ გაუჭირდება. მესის საამისოდ ყველა მონაცემი აქვს“ — აღნიშნა ბრაზილიელმა.

მანვე განაცხადა, რომ ევროპაში სულ უფრო და უფრო მცირდება დიდი ათიანების რაოდენობა, რადგანაც: „ამ პოზიციაზე თამაში სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. ამიტომაც ძლიერ ათიანებს დღეს ნაკლებად შევხვდებით. თუმცა არიან ფეხბურთელები, მაგალითად, რიკელმეს მსგავსი, რომლებიც საქმეს თავს ჩინებულად ართმევენ.“

ზიკომ თავის თანამემამულეზე, „მილანის“ ვარსკვლავ კაკაზეც ისაუბრა: „კაკა იმათ შორისაა, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს მუდამ აუმჯობესებენ და ამის გამო მე მისი თამაშის თაყვანისმცემელი ვარ. რონალდინიოც დიდებულია, მისი ნიჭი რეკლამირებას არ საჭიროებს. რაც შეეხება კაკას, ვფიქრობ, წლეულს გადასარევად გამოიყურება“ — თქვა სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა.

ინტერვიუს დასასრულს ზიკომ ბეჩავ დიეგო მარადონაზე ილაპარაკა და იმედი გამოთქვა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება: „მარადონაზე ყოველთვის დიდი სიამოვნებით შემიძლია საუბარი. ბედნიერება მხვდა წილად, ერთად გვეთამაშა და ახლა სულმოუთქმელად ველოდები, რომ იგი მალე გამოჯანმრთელდება.“

**ლადო ხომერიკი**

## ევროტური ჩინეთში

„ბარსელონა“ 1,6 მილიონ ევროს მიიღებს ამხანაგური მატჩიდან, რომელიც აგვისტოში ჰონკონგის „ჰეპი ველეის“ წინააღმდეგ გაიმართება.

შეხვედრასთან დაკავშირებული დეტალები პრესაში ორ კვირაში გახმაურდება, თუმცა უკვე ცნობილია, რომ კატალონიელები ჩინელებთან 10 აგვისტოს „ჰონკონგ არენაზე“ ითამაშებენ.

„მატჩის გამართვის თაობაზე „ბარსასთან“ შეთანხმებას თითქმის მივაღწიეთ. ახლა ცალკეულ დეტალებს განვიხილავთ“ — უთხრა „საუჩ ჩაინ მორნინგ პოსტის“ ჟურნალისტს „ჰეპი ველეის“ წარმომადგენელმა.

ფრანკ რაიკარდის გუნდთან ძალების მოსინჯვა მეორე ჰონკონგურ კლუბს „საუჩ ჩაინსაც“ უნდოდა, თუმცა „ბარსელონას“ ფინანსური მოთხოვნები ეძვირა და უარი თქვა.

**ლადო ხომერიკი**

## გვიდოლინი ვერ გადარჩა

**იტალიური** „პალერმოს“ მთავარი მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი მოხსნეს.

უკვე რა ხანია, იტალიაში ამაზე ლაპარაკობდნენ და აგერ ფაქტიც: სიცილიური კლუბის სკანდალური თავკაცი უმუშევარი დარჩა — გვიდოლინი კვირას „პარმასთან“ 3:4 წაგებას შეეწირა.

გვიდოლინის ადგილს მისი თანაშემწე რენცო გობი დაიკავებს.

## კუპე და სავიოლა

**ინგლისურ** „ტოტენჰემს“ ფრანგული „ლიონიდან“ გრეგორი კუპეს ყიდვა გადაუწყვეტია. შეტევის გაძლიერება კი „მამლებს“ ხავიერ სავიოლათი უნდათ, ვისაც „ბარსელონასთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და გახანგრძლივებას არ სთავაზობენ.

ამ მომენტისთვის სავიოლას თხუთმეტი კლუბი ეპატიჟება, მათ შორის, „ნიუკასლიც“.

„ნიუს ოფ ზე ვორლდის“ ცნობით კი, ტოტენჰემელი პასკალ შიმბონდათი და დიდიე ზოკორათი „სევილია“ დაინტერესდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტეეეეეერ!

## ტაძრამდე გავლილი შავ-ლურჯი გზა




**მილანის „ინტერი" იტალიის ჩემპიონია! 1988-89 წლების სეზონის შემდეგ „ნეროაძურიმ" პირველად მოიპოვა სკუდეტო თამაშით. თამაშითო, იმიტომ ვამბობთ, რომ „ინტერი" წინა სეზონის ჩემპიონიცაა, მაგრამ ეს სულ სხვაა, რადგან ის სკუდეტო „იუვენტუსს" ჩამოართვეს და „ნეროაძურის" გადასცეს. ასეა თუ ისე, „ინტერი" უკვე იტალიის თხუთმეტგზის ჩემპიონია. რა თქმა უნდა, „ნეროაძურის" წლევანდელ წარმატებაში კალჩოპოლის სკანდალმა, „მილანისთვის", „ფიორენტინასთვის" და „ლაციოსთვის" ქულების დაკლებამ, ხოლო „იუვენტუსის" სერია B-ში დაქვეითებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, მაგრამ ინტერელებსა და მათ ფანებს ეს ნაკლებად აღელვებთ. მართალია, „ინტერმა" ორი დასახული მიზნის მიღწევა ვერ შეძლო — სერია A-ს წაუგებლად ჩამთავრება და 100 ქულის მოგროვება, მაგრამ რობერტო მანჩინის გუნდი მაინც შევა ისტორიაში: „ნეროაძურიმ" არაერთი რეკორდი დაამყარა, რაზეც თანმიმდევრობით ვიტყვით...**

უპირველეს ყოვლისა, სერია A-ში მიჯრით მოგებული 17 მატჩი უნდა ვახსენოთ, რაც არამარტო იტალიის, არამედ მთელი ევროპის რეკორდია. ეს ტრიუმფალური სვლა „ინტერმა" 2006 წლის 25 ოქტომბერს „ლივორნოსთან" 4:1 მოგებით დაიწყო და 2007 წლის 25 თებერვალს „კატანიასთან" 5:2 გამარჯვებით დასრულა.

საინტერესოა, რომ გუნდი, რომელიც „ნეროაძურიმ" 18 მოგებამდე და მას მერეც ვერ დაამარცხა, „უდინეზეა". უდინელები ორჯერვე ფრედ ეთამაშნენ მილანელებს.

მიმდინარე სეზონში „ინტერმა" პირველი 31 ტური წაუგებლად ჩაატარა, რაც სერია A-ს ისტორიაში მესამე მაჩვენებელია: 1991-92 წლების სეზონი „მილანმა" წაუგებლად ჩაატარა. 1955-56 წლებში კი ფლორენციის „ფიორენტინა" 33-ე ტურამდე იყო დაუმარცხებელი.

თუმცა „ნეროაძურის" ეს მაჩვენებელი სარეკორდოა ოცგუნდა სერია A-ს ისტორიაში — 2005-06 წლების სეზონში „იუვენტუსმა" წაუგებლად მხოლოდ 28 ტური გაძლო.

თუ წინა სეზონის მატჩებსაც მივათვლით, მანჩინის შეგირდებს სერია A-ში მიჯრით 33 წაუგებელი შეხვედრა გამოუვათ.

მსოფლიოს ჩემპიონატისა არ იყოს, მარკო მატერაცი აქაც გამორჩეული ფიგურაა. „ემპოლის" მერე სერია A-ში „ინტერმა" პირველად წინა ოთხშაბათს წააგო, შინ „რომასთან" (1:3) — დედაქალაქელთა კარში ერთადერთი გოლი სწორედ მატერაციმ შეაგდო. კვირას კი „ნეროაძურიმ" მისივე დუბლით მოუგო „სიენას", რასაც „ატალანტასთან" „რომას" მარცხიც დაერთო და მილანელებმა ოფიციალურად გაიფორმეს სკუდეტო.

ყველა ტურნირის ჩათვლით, „ინტერმა" მიმდინარე სეზონში 39 მატჩი ჩაატარა წაუგებლად. 27 სექტემბერს მიუნხენის „ბაიერნთან" მარცხის შემდეგ „რომასთან" წაგებამდე „ნეროაძურიმ" 20 შეხვედრა მოიგო და 9 ფრედ დაასრულა. ინტერელთა სამწუხაროდ, ამ 9 ფრეში „ვალენსიასთან" ნათამაშები 2:2 და 0:0-ც არის, რამაც გუნდს ჩემპიონთა ლიგა დაატოვებინა.

ისევ რეკორდებზე: 30-ე ტურამდე „ინტერს" 87 შესაძლებელიდან 79 ქულა ჰქონდა მოპოვებული, ანუ 91 პროცენტი. ეს კი უმაღლესი პროცენტული მაჩვენებელია სერია A-ს ისტორიაში.

2006 წლის 28 ოქტომბრიდან 2007 წლის 18 მარტის ჩათვლით „ინტერმა" სტუმრად 11 მატჩი მოიგო. სერია A-ში ესეც რეკორდია.

ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე სკუდეტოს განაღდებით კი „ნეროაძურიმ" გაიმეორა 1947-48 წლების სეზონის „ტორინოსა" და 1955-56-ის „ფიორენტინას" რეკორდი.

„ინტერის" ეს წარმატება ყველაზე მეტად ალბათ მაინც კლუბის პრეზიდენტ *მასიმო მორატის* გაუხარდა, რომელიც 1995 წლის მერე მართავს გუნდს. მან „ნეროაძურის" დიდი ენერგია და ფული დაახარჯა, მაგრამ აქამდე მილანელებს ასეთი სერიოზული წარმატებისთვის არ მიეღწიათ.

შეგახსენებთ, რომ მასიმო მორატი შვილია ანჯელო მორატის, რომლის ხელშიც, 60-იანი წლების დასაწყისში, „ინტერს" ისტორიაში საუკეთესო პერიოდი ედგა. მასიმოს არაერთხელ უთქვამს, მამაჩემმა მთხოვა, „ინტერისთვის" სათანადოდ მიმეხედა და მინდა, კლუბს ის „ოქროს ეპოქა" დავუბრუნოო.

„რა შემიძლია, გითხრათ? ძალიან ბედნიერები ვართ. პირველ რიგში, ამ წარმატებას ფანებს ვულოცავ, ისინი ამას იმსახურებენ. მანჩინის თქმისა არ იყოს, ასე სპონტანური და ცოტა მოულოდნელი გამარჯვება უფრო სასიამოვნო და სასიხარულოა, ვიდრე დაგეგმილი. რაც შეეხება ზეიმს, რამე ღონისძიება არც ოთხშაბათისთვის გვქონდა დაგეგმილი და არც დღეისთვის. ყველაფერი უცებ იქნება, რადგან ჯერ არ გადაგვიწყვეტია, რას ვიზამთ. ყველას შეუძლია, თავისებურად იზეიმოს, სანამ სკუდეტოს ოფიციალურად აღვნიშნავთ" — განაცხადა მატჩის შემდეგ მორატიმ.

ცხადია, „ინტერის" მფლობელს არც კლუბის ყოფილი ვარსკვლავი და პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი დავიწყებია, რომელიც შარშან კიბოთი გარდაიცვალა: „ჩვენი წარმატება, რასაკვირველია, ფაკეტის ხსოვნას ეძღვნება. ამ სკუდეტოს მისი დიდსულოვნებისა და პატიოსნების ნიშანი აზის."

*რობერტო მანჩინი:* „საოცარი გრძნობაა, ძალიან გახარებულები ვართ. გუნდმა განსაკუთრებული სეზონი ჩაატარა და ეს წარმატება დაიმსახურა. თან ცოტა უცნაურია ჩემპიონობის ხუთი ტურით ადრე განაღდება. მთავარია, სკუდეტოს მოპოვება შევძელით, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ცოტა დაღლილები ვართ და სათანადო თამაშს ვეღარ ვაჩვენებთ."

ამასობაში ფარდა აეხადა „ინტერის" ერთ პატარა საიდუმლოს. სანამ იტალიური პრესა „ნეროაძურის" მომავალ მწვრთნელად ხან ჟოზე მაურინიუს, ხან მარჩელო ლიპის თუ სხვა კანდიდატებს ასახელებდა, კლუბს რობერტო მანჩინისთან ახალ კონტრაქტზე ხელი მოუწერია და ეს ინფორმაცია არ ხმაურდებოდა. როგორც გაირკვა, მანჩინიმ „სან სიროს" ბინადრებთან 2011 წლამდე გააფორმა კონტრაქტი, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

„მანჩინისთან კონტრაქტი არცთუ დიდი ხნის წინ გავახანგრძლივეთ — ღიმილით აღნიშნა მორატიმ — ამან მოდუნების საშუალება მოგვცა, ამ საკითხზე ბევრს აღარ ვფიქრობდით და თქვენს კითხვებსაც მშვიდად ვპასუხობდით. იმედია, ხანგრძლივი და წარმატებული ურთიერთობა გველის. რობერტო თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს და ფეხბურთელებიც კარგად უგებენ. ჩემი აზრით, ბევრი არაფერი გვაკლია იმისთვის, რომ ნამდვილი „ოქროს ეპოქა" დავიწყოთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რამდენიმე საჭირო მოთამაშე შეიძლება ვიყიდოთ. თავადაც ხედავთ, როგორ გაამართლა შარშან ზაფხულს ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენამ. იმედია, ლუიშ ფიგუ „ალ იტიჰადში" წასვლას გადაიფიქრებს და დარჩება, მაგრამ ამის გარანტიას ვერ მოგცემთ. სხვათა შორის, რობერტო ბაჯომ დამირეკა და ჩემპიონობა მომილოცა, რაც ძალიან მესიამოვნა. იგი კიდევ ერთი ნამდვილი ჩემპიონია, რომელსაც ჩვენი მაისურით უთამაშია. ახლა კი ზეიმის ორგანიზებაზე და ფანებთან შეხვედრაზე ვფიქრებთ. ყველაფერს დაგეგმვა სჭირდება. ჩემპიონები თუ დღესვე გავხდებოდით, ნამდვილად არ გვეგონა."

„ნეროაძურის" კაპიტანი *ხავიერ ძანეტი:* „ამ მომენტს დიდი ხანი ველოდი და უაღრესად ბედნიერი ვარ. თითოეულმა ყოფილმა თუ ამჟამინდელმა ინტერელმა დაიმსახურა ეს ტიტული. ახლა ზეიმის უფლება გვაქვს. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს პრეზიდენტ მასიმო მორატის და ფანებს. სკუდეტოს კი ჯაჩინტო ფაკეტის, პეპინო პრისკოსა და ბენიტო ლორენცის ხსოვნას ვუძღვნი, ასევე ჩემს მეუღლესა და ქალიშვილს."

აღსანიშნავია, რომ ვეტერანი არგენტინელი 12 წელია, „ინტერშია" და კლუბის ცოცხალი ლეგენდაა. 1995 წელს მორატის კლუბში მისვლის შემდეგ „ელ ტრაქტორი" მისი პირველი შენაძენი იყო.

„ძალიან გამიმართლა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იტალიის გამარჯვებასა და ახლა „ინტერის" ჩემპიონობაში მნიშვნელოვანი როლი შევასრულე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს, ძალიან ბედნიერი ვარ. ეს წარმატება ნამდვილად დავიმსახურეთ" — თქვა *მარკო მატერაციმ.*

*ზლატან იბრაჰიმოვიჩი:* „ჩემპიონი გავხდი „აიაქსში", „იუვენტუსში" და ახლა „ინტერში". როცა აქ გადმოვედი, ვთქვი, რომ სადაც მივდივარ, აუცილებლად ვიგებ. მენტალიტეტიც ასეთი მაქვს, წარუმატებლობას ვერ ვეგუები. ბევრი ვიმუშავეთ და შედეგიც სახეზეა. მიხარია, რომ „ინტერს" ჩემი გოლები დაეხმარა და ამ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ვარ."

„მინდა, ყველა იმ ქომაგს დიდი მადლობა გადავუხადო, რომლებსაც ბოლომდე სჯეროდათ ჩვენი და თავიანთი ოცნების ახდენის. ეს სკუდეტო დავიმსახურეთ და დავამტკიცეთ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. ახლა დიდ ზეიმს ველი, პირველ რიგში, მომავალ საშინაო მატჩზე „ემპოლისთან" და იტალიის თასის ფინალში „რომასთან" მოგებას" — განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა *დეიან სტანკოვიჩმა.*

დაბოლოს, ყველა ის სეზონი, რომელშიც „ინტერმა" სკუდეტო მოიპოვა: 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989, 2006, 2007.

**გიორგი ძაძამიძე**


მასიმო მორატი





მანჩინი და ადრიანო

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი უკმაყოფილოა თავისი გუნდის ჩავარდნით, თუმცა სასოწარკვეთის მიზეზს ვერ ხედავს და ამბობს, ალბათ ესეც საჭიროა გამოსაფხიზლებლადო. ბუნდესლიგის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე გაცხადდა, რომ „ბაიერნმა“ ჩემპიონობის შანსიც დაკარგა და მეტიც, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ოცნება თუ დარჩენია... კაიზერ ფრანცს გერმანული „ველტი“ ესაუბრა...



# დაგვარტყით იქ, სადაც გვტკივა!

## ბეკენბაუერმა ბევრ სხვასთან ერთად კობიაშვილის მოოქროვებაც ივარაუდა

— ათი წელია, „ბაიერნი“ ასეთ ცუდ დღეში არ ყოფილა — ბუნდესლიგის ჩემპიონობა ზღაპარია, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდით და ალბათ მომავალი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვერ მოხვდებით. ისე ჩანს, უახლოეს მომავალშიც მძიმე დღეები გელით...

— მიხარია, რომ მტკივნეულ ადგილზე გვირტყამთ. ეს იმის დასტურია, რომ შანსი კიდევ გვაქვს. ახლა შეგვიძლია, გუნდი განვაახლოთ და ვთქვათ, რომ ახალ სეზონზე ფიქრს ვიწყებთ. ბოლო ხანს ყველაფერი საშინლად წარიმართა და არც „ბაიერნი“ ჰგავდა თავის თავს — ის იყო ერთი მშვიდი გუნდი, რომელიც სამ ქულას ითხოვდა და მეტი არაფერი.

— და რატომ დაკარგა „ბაიერნმა“ ძველი დიდება?

— ალბათ ზედმეტად წინდახედულნი ვიყავით, არ ვიყავით მზად, უფრო მეტად გაგვერისკა და საჭირო ოდენობის ინვესტიცია ჩაგვედო.

— მაგალითად?

— ჩვენ ვერ შევძელით კარგი ფეხბურთელების დამატება. ვაღიარებ, რომ ვერ მოვახერხეთ მიხაელ ბალაკის, ზე რობერტოსა და დაისლერის სათანადოდ შეცვლა.

— კადრებზე პასუხისმგებელი სწორედაც რომ კლუბის ხელმძღვანელობაა. ფიქრობთ, რომ „ბაიერნში“ სტრუქტურული პრობლემებიც არის?

— მთელი საკლუბო სისტემის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება. არც ერთ კლუბს არ ჰყავს კარლ-ჰაინც რუმენიგეზე, ული ჰოენესსა და კარლ ჰოფნერზე უკეთესი ხელმძღვანელები. ახლა კიდევ ერთი მრჩეველი დაგვემატა — პაულ ბრაიტნერი. მიხარია, რომ ის ბოლოს და ბოლოს შემოგვიერთდა. ძალიან ბევრჯერ ვცადეთ მისი გადმობირება და ახლა უკვე ჩვენთანაა.

— რუმენიგეს ბუნდესლიგის პრეზიდენტობას სთავაზობდნენ, მაგრამ მან უკან დაიხია. ეს სწორი ნაბიჯი იყო?

— როცა ის ამბობს, რომ პრეზიდენტობის დრო ჯერ არ არის, უნდა დავუჯეროთ. მაგრამ ნამდვილად სამწუხაროა — ჩვენ ძლიერი ადამიანი გვჭირდება ამ ადგილზე და ეს მხოლოდ კარლ-ჰაინც რუმენიგე შეიძლება ყოფილიყო. გერმანიის ფეხბურთის ლიგამ უნდა აღიაროს, რომ რუმენიგე მართლაც დიდი მონაპოვარი იქნებოდა მათთვის.

— ინტერესთა კონფლიქტის პრობლემას ვერ ხედავთ?

— სულაც არა. უბრალოდ, რუმენიგე უეფასა და ფიფას კარგად იცნობს და გერმანიაში სხვა ასეთი არავინ გვყავს.

— მეკარე ოლივერ კანსაც სჭირდება უკვე რაღაც სხვა სამსახური თქვენს კლუბში...

— არის ვარიანტი, რომ იგი კლუბში დავიტოვოთ. კანი და შოლი არიან ის ფეხბურთელები, რომელნიც „ბაიერნის“ სახედ დარჩებიან ყოველთვის, სადაც უნდა იყვნენ.

— **ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ 37 წლის კანი 2008 წლამდე ითამაშებს?**

— კარიერა პელემაც საკუთარი ნებით დაასრულა და ამას ყველა დიდი მოთამაშე თავისი სურვილით აკეთებს. კანმა კარში დგომაზე უარი თავად უნდა განაცხადოს. ასე რომ, მის შემცვლელ მიხაელ რენსინგს მოთმინების გამოჩენა მოუწევს. მან ისედაც იმდენი იცადა, რომ ერთ წელსაც მოიცდის.

— „ბაიერნში“ გადმოსვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა ლუკა ტონიმ უარი განაცხადა, ანუ ბრემენელი მიროსლავ კლოზე ნომერ პირველ კანდიდატად რჩება?

— ყველამ იცის, რომ იტალიელები მოგზაურობის მოყვარულნი არ არიან. თუ ლუკა ტონი წინადადებას „იუვენტუსიდან“ მიიღებს, სიამოვნებით გადავა ტურინში. კლოზე კი ჩემთვის ძალიან საინტერესო ფეხბურთელია.

— „ბაიერნი“ კვლავ იყიდის ბუნდესლიგის საუკეთესოებს?

— შესაძლებლობა რომ მქონდეს, რონალდინიოს ვიყიდიდი, ის სუპერვარსკვლავია, რომლის მსგავსი ბევრი არაა. სამწუხაროდ, „ბაიერნი“ ვერც მას და ვერც კაკას ვერ მიიღებს. რაც უნდა ბევრი ეცადოს ბუნდესლიგა, მას დიდი გზის გავლა მოუწევს ინგლისის, ესპანეთის ან იტალიის დონემდე მისაღწევად. ამ ლიგებთან ჩვენი შედარება შეუძლებელია.

— ბუნდესლიგა უცხოელი ინვესტორებისთვის უნდა გახდეს მიმზიდველი?

— ეს „ჩელსისთვისაა“, რომელსაც აბრამოვიჩი ჰყავს, ან „მილანისთვის“, რომელიც ბერლუსკონის ეკუთვნის. მიხარია, რომ ისინი თანხას ფეხბურთში დებენ და არა რომელიმე სამზინოში. მაგრამ არც ჩვენი სისტემაა მთლად ცუდი და უნდა ვცადოთ, წინ წავიწიოთ.

— „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი დარჩება კლუბში?

— მე მასთან ერთად „ბაიერნში“ ექვსი წელი ვიმუშავე და არასდროს მინახავს ასეთი მონდომებული, როგორიც ახლა არის. მე ოტმარს ვენდობი და მჯერა, რომ ის კლუბისთვის ძალიან საჭიროა. მას შესწევს ძალა, თავისი საქმე უმოკლეს დროში გააკეთოს.

— ფიქრობთ, რომ იურგენ კლინსმანი როდესმე ბუნდესლიგაში ან თუნდაც მიუნხენში დაბრუნდება?

— მაშინ მან კალიფორნიაში ცხოვრებაზე უნდა თქვას უარი, რასაც ჩემი აზრით, არასდროს გააკეთებს. ეროვნულ ნაკრებში უფრო წარმოვიდგენ, რადგან ასეთ დროს ხშირად შეძლებს შინ წასვლას. ძალიან მინდა, სადმე კვლავ გავიგო მისი სახელი. კლინსმანმა ფეხბურთს მეტი იმპულსი შესძინა, ახალი გზები აჩვენა, რასაც ჩვენი კლუბიც იყენებს.

— „ბაიერნი“ კლინსმანის ნაკრებში მუშაობას აკვირდებოდა?

— ჩვენი და ეროვნული ნაკრების ექიმი მიულერ-ვოლფარტი მისი სამწვრთნელო მეთოდებით ძალიან მოხიბლული და აღფრთოვანებული იყო. ფელიქს მაგათთან საქმე უფრო რთულად იყო — მას ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე. ოტმარი კი ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს მიულერ-ვოლფარტთან და ხშირად იყენებენ ეროვნული ნაკრების გამოცდილებას კლუბში.

— ამ სეზონში პროგნოზების გაკეთება ძალიან ძნელი იყო. რას ფიქრობთ, ვინ გახდება ჩემპიონი?

— ვფიქრობ, „შალკე“. მათ მთავარი სიძნელეები უკვე გადალახეს.

# მარსელ იანსენის თითქმის კატალონია



**გერმანული** „მიონხენგლადბახის“ უკანახაზელმა მარსელ იანსენმა ეროვნულ გუნდში თავის პირველ შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ სამხრეთ აფრიკასთან უკეთ გაისარჯა და მთელ გერმანიას მოაწონა თავი. იანსენს ბუნდესნაკრებში უკვე 14 შეხვედრა ჩაუტარებია.

მარსელი ოცწლამდელთა მუნდიალზეც ბრწყინვალე იყო — ჩვეულ პოზიციაზე არ უბურთავია, მწვრთნელებმა წინ წაწიეს და იანსენმაც თავისი საშინელი მარცხენა ფეხით და საჰაერო ბრძოლებით გვარიანად გატანჯა მეტოქეები. 1,91 მეტრის სიმაღლის გერმანელმა განსაკუთრებით კარგად ბრაზილიასთან ითამაშა.

„მიონხენგლადბახის“ ძირითადში იანსენი ორი წლის წინ მოხვდა, როცა ამ გუნდს ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი თავკაცობდა. გასულ სეზონში მარსელმა 32 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი შეაგდო, საამსეზონოდ კი მისი მონაგარი 18 მატჩში 1 გოლია.

და რაში დაგვჭირდა ამ ყველაფრის თქმა? კატალონიური „სპორტი“ წერს, რომ იანსენის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და ძალიან დიდია იმის შანსი, გერმანელი გაისად „ბარსელონას“ მაისურაში გამოწყობილი ვიხილოთ.

„კამპ ნოუს“ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი ტოვებს და იანსენიც ალბათ ამად სჭირდებათ კატალონიელებს. ჯიოს რონალდ კუმანის პსვ ეპატიჟება და ამბობენ, რომ იგი ჰოლანდიურ კლუბში ფილიპ კოკუს ჩაანაცვლებს, ვინც მომავალ სეზონში კარიერის დასრულებას აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

## განრისხებული ჰიცფელდი

**„შტუტგარტთან“** პრინციპულ მატჩში მარცხით აღშფოთებულმა „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ უგულოდ მოთამაშე ფეხბურთელებს ამ ზაფხულს გუნდიდან მიაბრძანებს.

„ამას აღარ მოვითმენ — გაბრაზდა ჰიცფელდი — აუცილებლად უნდა ვიღონო რამე. სეზონის დასრულების შემდეგ თითოეული ფეხბურთელის გარჯას შევაფასებ და ზოგს წასვლა მოუწევს“.

## მამა ფულს ითხოვს

**მოსკოვის** ცსკა დანიელ კარვალიუს გაყიდვას 4 მილიონ ევროდ აპირებს. ბრაზილიელ ფეხბურთელს ამას წინათ მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც მომავალ გაზაფხულამდე ვეღარ ითამაშებს. ტრავმირებული კაცის შენახვა კლუბს არ უნდა, არც მყიდველი გადაიხდის ბევრს და მოსკოველებმა ამიტომაც დაუკლეს ფასი ექვსიდან ოთხამდე.

თვენახევრის შემდეგ, ფიფას ახალი წესის თანახმად, კარვალიუს საკუთარი კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება, დეკემბერში კი სულაც უმთავრდება და ისე წავა, რომ ცსკა მის სანაცვლოდ გროშსაც ვერ მიიღებს. კლუბს ბრაზილიელთან ხელშეკრულების გახანგრძლივება სურდა, მაგრამ კარვალიუს მამა და აგენტი ალბიო შვილისთვის თვეში 200 ათას ევროს ჯამაგირს ითხოვს. ამჟამად ბიჭის ხელფასი 120 ათასია.

## მხეცი იჯარით

**მოსკოვის** „ლოკომოტივს“ სეზონის ბოლომდე ჟულიო ბაპტისტას იჯარით წაყვანა უნდა. ბრაზილიელი ნახევარმცველი მადრიდის „რეალიდან“ ლონდონის „არსენალშია“ განათხოვრებული და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობს.

„ლოკო“ ბაპტისტას კონტრაქტის გამოსყიდვაზეც ფიქრობდა, მაგრამ მისი ფასი 20 მილიონი ევროა და ამდენს ვერ გასწვდებიან. სამაგიეროდ, თვეში ხელფასად 100 ათასი ევროს გადახდა არ გაუჭირდებათ.

მოსკოველები უკვე დაუკავშირდნენ „რეალს“ და გარიგება შესთავაზეს, ბაპტისტამ კი (მეტსახელად „მხეცი“) ცოტა ხნის წინ ინტერვიუში თქვა, რომ „არსენალიდან“ „რეალში“ დაბრუნება სურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### არგენტინა

კლაუსურა. XI ტური

| | | |
|---|---|---|
| რასინგი | 3:3 | ბელგრანო |
| ველესი | 0:2 | როსარიო |

### მექსიკა

კლაუსურა. XV ტური

| | | |
|---|---|---|
| ამერიკა | 1:0 | ატლანტე |
| ტეკოსი | 4:0 | მორელია |

### ჩილე

პრიმერადივიზიონი

XIV ტური

მელიპილია — უნივ. კონსეპსიონი 3:2; უნივ. კათოლიკა — კობრელოა 2:1; კობრესალი — პუერტო მონტი 1:0; დეპ. კონსეპსიონი — უნიონ ესპანიოლა 3:2; პალესტინო — უნივ. დე ჩილე 1:1; ანტოფაგასტა — ლა სერენა 4:1

# სარბიელი და კრო[illegible]

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი**
**პრემიერლიგა**
**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | ჩელსი-ბოლტონი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 15:45 | 3 | ევერტონი-მანჩესტერი | 5.10 | 3.70 | 1.60 | 2.14 | 1.21 | 1.11 |
| 18:00 | 5 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 6 | სიტი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:00 | 8 | პორტსმუთი-ლივერპული | 3.80 | 3.20 | 2.00 | 1.73 | 1.31 | 1.23 |
| 18:00 | 10 | შეფილდი-უოტფორდი | 1.60 | 3.40 | 6.30 | 1.08 | 1.27 | 2.20 |
| 18:00 | 11 | უიგანი-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 12 | არსენალი-ფულემი | 1.30 | 4.90 | 11.00 | 1.02 | 1.16 | 3.38 |

**ინგლისი**
**ჩემპიონატი**
**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 16 | სანდერლენდი-ბარნლი | 1.35 | 4.10 | 8.50 | 1.01 | 1.16 | 2.76 |
| | | 28 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 17 | ბარნსლი-ლესტერი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 18:00 | 18 | ბირმინგემი-უენსდი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 18:00 | 19 | კარდიფი-ჰალი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 20 | ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 18:00 | 21 | ლიდსი-იფსვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 18:00 | 22 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:00 | 23 | პლიმუთი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 24 | საუთენდი-ლუტონი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 18:00 | 25 | სტოკი-კოლჩესტერი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 26 | ვულვერჰემპტონი-ქპრ | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 27 | კრისტალ პალასი-დერბი | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |

**ინგლისი. II ლიგა**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 40 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:45 | 41 | შრიუსბერი-რექსემი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | 28 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 42 | ჰერეფორდი-შრიუსბერი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 43 | აკრინგტონი-მაკლსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 44 | ბოსტონი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 18:00 | 45 | როჩდეილი-სუინდონი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 46 | ჩესტერი-პიტერბრო | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 47 | გრიმსბი-ლინკოლნი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 18:00 | 48 | მენსფილდი-ბარნეტი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 49 | ნოტსი-დარლინგტონი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 50 | როჩდეილი-ჰარტლპული | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 51 | სტოკპორტი-ბერი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 52 | უოლსოლი-რექსემი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 53 | უიკომბი-დონსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

**ინგლისი. კონფერენსი**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 55 | გრეისი-კიდერმინსტერი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 22:45 | 577 | ჰალიფაქსი-ქროული | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 578 | ნორთვიჩი-სტივენეიჯი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**
**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 77 | კლაიდი-დანდი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 78 | ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 18:00 | 79 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 80 | ქუინი-ეროდრი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 81 | როსი-გრეტნა | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**
**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 82 | ალოა-ფორფარი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 83 | ეარი-მორტონი | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 18:00 | 84 | ბრეჩინი-კოუდენბითი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 85 | რეითი-პიტერჰედი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 86 | სტრანრარი-სტირლინგი | 4.20 | 3.30 | 1.72 | 1.84 | 1.22 | 1.13 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**
**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 87 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 18:00 | 88 | არბროთი-ისტ ფაიფი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 89 | დამბარტონი-ქუინზ პარკი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 90 | ელგინი-მონტროუზი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 91 | სტენჰაუზმური-ბერიკი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 115 | ვერდერი(მ)-ზტ.პაული | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |

**ავსტრია. I დივიზიონი**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 139 | ადმირა-ლეობენი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 21:00 | 140 | ავსტრია(მ)-პარნდორფი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 141 | გრატკორნი-ლინცერი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 21:00 | 142 | კაფენბერგი-პარტბერგი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 143 | ლუსტენაუ-ავსტრია(ლ) | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:00 | 144 | შვანენშტადტი-კერნტენი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**
**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 205 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 23:45 | 215 | ვალენსია-უელვა | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 203 | ბილბაო-რეალი | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |
| 21:00 | 206 | ბარსელონა-ლევანტე | 1.18 | 5.80 | 11.00 | 1.00 | 1.06 | 3.79 |
| 19:00 | 208 | სელტა-მალიორკა | 2.15 | 3.10 | 3.35 | 1.26 | 1.30 | 1.61 |
| 19:00 | 209 | ხეტაფე-სოსიედადი | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 19:00 | 210 | ტარაგონა-ვილიარეალი | 2.70 | 3.00 | 2.50 | 1.42 | 1.29 | 1.36 |
| 19:00 | 211 | ოსასუნა-სარაგოსა | 2.70 | 2.90 | 2.60 | 1.39 | 1.32 | 1.37 |
| 19:00 | 212 | რასინგი-დეპორტივო | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 213 | სევილია-ესპანიოლი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |

**შვედეთი. ალსვენსკა**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 397 | აიკ-ჰამარბი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

**ჩემპიონთა ლიგა**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 474 | მანჩესტერი-მილანი | 2.00 | 3.10 | 4.00 | 1.21 | 1.33 | 1.74 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 475 | ჩელსი-ლივერპული | 2.05 | 3.00 | 3.90 | 1.21 | 1.34 | 1.69 |

**უეფას თასი**
**26 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 476 | ესპანიოლი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 477 | ოსასუნა-სევილია | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |

**შოტლანდია. თასი**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 579 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |

**ლიბერტადორესის თასი**
**24 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 487 | დეპ.ტოლიმა-კუკუტა | 2.15 | 3.10 | 2.95 | 1.26 | 1.24 | 1.51 |
| 23:45 | 488 | გრემიო-ხერო ჰ | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10474 | მანჩესტერი-მილანი | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10475 | ჩელსი-ლივერპული | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10476 | ესპანიოლი-ვერდერი | 3.20 | 2.00 | 3.20 | 1.23 | 1.60 | 1.23 |
| 10477 | ოსასუნა-სევილია | 3.20 | 2.00 | 3.20 | 1.23 | 1.60 | 1.23 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11474 | მანჩესტერი-მილანი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11475 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11476 | ესპანიოლი-ვერდერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11477 | ოსასუნა-სევილია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12474 | მანჩესტერი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12475 | ჩელსი-ლივერპული | 1.55 | 2.20 |
| 12476 | ესპანიოლი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 12477 | ოსასუნა-სევილია | 1.50 | 2.25 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13474 | მანჩესტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13475 | ჩელსი-ლივერპული | 1.80 | 1.80 |
| 13476 | ესპანიოლი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13477 | ოსასუნა-სევილია | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14474 | მანჩესტერი-მილანი | 1.70 | 2.20 |
| 14475 | ჩელსი-ლივერპული | 1.75 | 2.10 |
| 14476 | ესპანიოლი-ვერდერი | 1.85 | 1.85 |
| 14477 | ოსასუნა-სევილია | 1.85 | 1.85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15474 | მანჩესტერი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ესპანიოლი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | ოსასუნა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16474 | მანჩესტერი-მილანი | 1.34 | 2.80 |
| 16475 | ჩელსი-ლივერპული | 1.35 | 2.75 |
| 16476 | ესპანიოლი-ვერდერი | 1.85 | 1.75 |
| 16477 | ოსასუნა-სევილია | 1.90 | 1.70 |

### გოლი:წყვილი-კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17474 | მანჩესტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17475 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ესპანიოლი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17477 | ოსასუნა-სევილია | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18474 | მანჩესტერი-მილანი | 1.60 | 2.30 |
| 18475 | ჩელსი-ლივერპული | 1.60 | 2.30 |
| 18476 | ესპანიოლი-ვერდერი | 2.70 | 1.40 |
| 18477 | ოსასუნა-სევილია | 2.90 | 1.35 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## ქართული ლეგიონი

# ჰერბერტმა ნაცვლიშვილი ნახა

**ახალი წლის** შემდეგ ჩრდილში მოქცეულმა და ქულებს დანატრებულმა ვლადიმერ ბოისამ გასული კვირის მატჩში ერთიანად იჯერა გული — „სნაიდეროს“ 22 წუთში 20 ქულა ჩაუგდო და რაც მთავარია, ეს ისე მოახერხა, თამაშიდან ნასროლი 11 ბურთიდან მხოლოდ 2 ააცილა.

ბოისა ბოლო ხანებში სულ მცირე ხნით ჩანდა მოედანზე და ხეირიანად ვერაფრის გაკეთებს ვერ ასწრებდა. „სნაიდეროსთან“ კი ვოვამ მართლაც რომ გამოანათა და ყველას შეახსენა, რომ არავისზე ნაკლები არც დაცვაშია და არც შეტევაში.

„სნაიდეროსთან“ კი გამოირჩა, მაგრამ სერია A-ს გუშინწინდელ ტურში ბოისა ისევ მოკრძალებული იყო. „სიენამ“ სტუმრად „ბენეტონი“ რომ დაამარცხა, ვოვამ 6 წუთი ითამაშა და მხოლოდ 2 ქულას გამოირჩა.

ვახტანგ ნაცვლიშვილს საფრანგეთში შანსი მიეცა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელისთვის თავისი ძალა დაემტკიცებინა. მისი „დიჟონი“ გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზს“ მასპინძლობდა და მიუხედავად იმისა, რომ დამარცხდა, ნაცვლიშვილზე აუგს ვერავინ იტყვის. ვატომ 26 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა, რაც დიჟონელთაგან საუკეთესო შედეგია, მაგრამ რად გინდა, მოგებას არ ეყო.

სადებიუტო კრიზისის შემდეგ ჰერბერტის „პო ორტეზმა“ სიჩქარე აკრიფა და ფრანგული ჩემპიონატის პლეი ოფში ადგილიც დაიბევა. პირიქითაა „დიჟონის“ საქმე, რომელმაც წაგებებს უხშირა და საპლეიოფო რვეულს ოდნავ ჩამოშორდა.

მორიგი მატჩები მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“, რომელიც სლოვენიის ჩემპიონატს ლიდერობს. მანუმ სტაბილურად ითამაშა, თუმცა მისგან 10-15 ქულა უკვე შეჩვეულები ვართ და განსაკუთრებით აღსანიშნავიც არაფერია.

სხვა ლეგიონერებმაც რიგითი მატჩები ითამაშეს — ნიკოლოზ ცქიტიშვილმა „სან ფერნანდოსთან“ რეკორდულად ბევრი, 27 წუთი კი დაყო მოედანზე, მაგრამ 2 ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა.

ზაზა ფაჩულიამ კი სეზონი ტრავმით დაამთავრა, თუმც საშიში არაფერია და ზაზა ზაფხულში თბილისში იქნება, ეროვნული ნაკრების შეკრებაზე.

**ირაკლი პერტაია**


ვახტანგ ნაცვლიშვილი

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ელექტრა<br>კემოპლასტი | ს<br>ს | 81:64<br>86:82 | 24<br>40 | 8<br>15 | 3<br>3 | 4<br>1 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | სნაიდერი<br>ბენეტონი | შ<br>ს | 98:78<br>79:62 | 22<br>6 | 20<br>2 | 2<br>0 | 0<br>0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | პო ორტეზი<br>პარიზი | შ<br>ს | 80:95<br>78:76 | 26<br>9 | 11<br>2 | 4<br>0 | 2<br>0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | ტაუ<br>კანარია | შ<br>ს | 72:93<br>54:79 | 2<br>9 | 0<br>2 | 0<br>1 | 0<br>0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ხირონა<br>უნიკახა | ს<br>შ | 76:80<br>68:66 | 14<br>27 | 4<br>2 | 6<br>5 | 0<br>1 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | ბიელა<br>ვიდივიცი | შ<br>ს | 79:67<br>51:84 | 28<br>34 | 8<br>11 | 7<br>3 | 5<br>2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## აღმოსავლეთი

### კლივლენდი 1:0 ვაშინგტონი

**კლივლენდი 97:82 ვაშინგტონი**

**კლივლენდი:** ჰიუზი (27), ჯეიმსი (23 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (16)
**ვაშინგტონი:** ჯემისონი (28 ქულა, 14 მოხსნა), ჰეიესი (18)

## დასავლეთი

### დალასი 0:1 გოლდენ სტეიტი

**დალასი 85:97 გოლდენ სტეიტი**

**დალასი:** ჰოვარდი (21 ქულა, 13 მოხსნა), ჰარისი (19), ტერი (17), ნოვიცკი (14 ქულა, 12 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** დევისი (33 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), ჯეკსონი (23), რიჩარდსონი (13)

### ფინიქსი 1:0 ლეიკერსი

**ფინიქსი 95:87 ლეიკერსი**

**ფინიქსი:** ბარბოსა (26), სტუდემაიერი (23 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (20 ქულა, 10 პასი), მერიონი (16 ქულა, 16 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39), ოდომი (17 ქულა, 16 მოხსნა)

### სან ანტონიო 0:1 დენვერი

**სან ანტონიო 89:95 დენვერი**

**სან ანტონიო:** პარკერი (19 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ფინლი (15), დანკანი (14 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ჰორი (14)
**დენვერი:** აივერსონი (31), ენტონი (30), ილარიო (13 ქულა, 12 მოხსნა)

PLAYOFFS 2007

# ნოვიცკის ვერცხლი

## გოლდენ სტეიტი დალასთან ექვსზე ავიდა

„გოლდენ სტეიტი“ ღამეულ კოშმარად ექცა „დალასს“. ნამდვილი საკალათბურთო ანომალიაა — „დალასმა“ რეგულარულში ქვა ქვაზე არ დატოვა, მაგრამ პლეი ოფში ამ საუკუნეში პირველად და ძლივს გამძვრალი „გოლდენ სტეიტისა“ კი ისე ეშინია, როგორც ძველ უბოროტო მულტფილმებში სპილოს თაგვის. დირკ ნოვიცკიმ და მისიანებმა ზედიზედ მეექვსედ, ამ სეზონში კი მეოთხედ წააგეს გუნდთან, რომელმაც პლეი ოფში ბოლოს 1994 წელს ითამაშა და იქ ბოლოს 1992 წელს მოიგო თამაში.

საზოგადოდ, „გოლდენ სტეიტი“ ხეირს შეტევაში ეძებს, როგორც ამას მისი დამრიგებელი და მხსნელი დონ ნელსონი ქადაგებს თავის 30-წლიან სამწვრთნელო კარიერაში. ახლაც, სტუმრებს დაცვაში თავისი ფარის წინ აგურები არ დაუწყვიათ და მეტოქეთათვის თვალები არ დაუთხრიათ, მაგრამ დალასელებს მაინც უკანკალებდათ სატყორცნი მკლავი — სროლების 38 პროცენტი თუ ჩააგდეს. ყოველთვის სამაგალითო სუპერგერმანელი, სუპერდალასელი დირკ ნოვიცკი ახლაც „გამორჩეული“ გახლდათ — 16 ტყორცნიდან 12 ააცილა და მხოლოდ 14 ქულა მიახმარა გუნდს. 21 ქულა გაახერხა მეორე ლიდერმა ჯოშ ჰოვარდმა, მაგრამ ამანაც 21 ტყორცნიდან 12 ქარს გაატანა (თუ მეტოქეს ჩააბარა). სათადარიგოებს მაინც ელონათ რამე?! არა, ლიდერთა ზაფრა ამათაც გადასდებოდათ — შეტევაზე შესულმა ოთხმა დალასელმა ოთხი ქულა გაიტანა უკან. ჯერი სტეკჰაუსმა ექვსი სროლიდან ყველა ააცილა და თამაში უქულოდ დაასრულა.


დირკ ნოვიცკი გოლდენსტეიტელთა მარწუხებში

ნელსონის ახალი შეგირდები კი ძველებს ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე უთამაშებდნენ ბურთს (ანკი რა აქვთ დასაკარგი? ნბა-ს საუკეთესო გუნდს ხვდებიან და მარცხისთვის არავინ გაკიცხავთ). ნელიმ მთლად სასწაული ხუთეული დააყენა — არც ერთი გამოკვეთილი მეფარე, ყველანი 206 სანტიმეტრზე დაბლები — არ მოატყუა ინტუიციამ. განსაკუთრებით იფრინა 191-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელმა ბაირონ დევისმა, ვინც ძალიან ბევრ ქულას და საკმაოდ ბევრ პასს მისი ამპლუის მოთამაშისთვის არაბუნებრივად ბევრი მოხსნა მიაყოლა.

ნამატჩევს ნელი კმაყოფილობდა — „ჩვენ პლეი ოფის მოგებას არ ვგეგმავთ, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ასეთი მაღალი ინტენსივობის შეხვედრაში ვთამაშობთ, ჩვენ, როგორც გუნდი ვიზრდებით და ვიკვრებით. ეს მახარებს.“

„დალასი“ არ ყოფილა ერთადერთი ფავორიტი, რომელსაც კვირა შავად დაუღამდა. „დენვერს“ აივერსონის შემატებასთან ერთად ამბიციაც მიემატა, მაგრამ „სან ანტონიოსთან“ სერიის მოგებით დაწყება სენსაციად თუ არა, მოულოდნელობად მაინც ჩაეთვლება. აივერსონმაც და კარმელო ენტონიმაც 30-30 ქულა უმარჯვეს სამგზის ჩემპიონებს.

ნამარცხევს სანანტონიოელები დიდ უარყოფით განცდებს არ მისცემიან. ორი წლი წინ მათ პლეი ოფი „დენვერთან“ შინაური მარცხით დაიწყეს, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი მოუგეს და საერთოდ, მაშინ ჩემპიონებიც გახდნენ.

ამის პასუხად კარმელო ენტონი ამბობს — „ოთხი წლის წინ ჩვენ პლეი ოფში მოხვედრითაც კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. შევიცვალეთ ჩვენ. ვიცით, რომ კარგი გუნდი ვართ და როცა ჩვენს საუკეთესო თამაშს ვთამაშობთ, ყველაზე ძლიერი გუნდის დამარცხებაც შეგვიძლია.“

დასავლელ ბობოლათა სამეულიდან მხოლოდ „ფინიქსი“ გამოვიდა სადებიუტო რკენიდან უმარცხოდ. ფინიქსელებმა ვერ გააჩერეს ლეიკერსელი კობი ბრაიანტი, მისგან 39 ქულა მიიღეს კალათში, მაგრამ თანაბარი სამი მეოთხედის შემდეგ ბოლო 12-წუთეულში 21:10 გატეხეს მეტოქე და ასე გავიდნენ ფონს. „ლეიკერსი“ დალახვრა „ფინიქსის“ ბრაზილიელმა უკანახაზელმა ლეანდრო ბარბოსამ, რომელმაც 26 ქულიდან 19 მეორე ტაიმში გააკეთა.

ეს ყველაფერი დასავლეთში მოხდა, აღმოსავლეთში კი ერთი თამაში ჩატარდა — ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი“ თავისი ყვავილებით მოფენილ საპლეიოფო გზას უშანსო „ვაშინგტონთან“ დამაჯერებელი გამარჯვებით შეუდგა.

**კოტე ყორშია**



ბულგარეთიდან მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე ოქროთი, ხოლო გელა საღირაშვილი ვერცხლით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ

# კლასიკური დახვედრა თავისუფლებს

## ჭიდაობას უხდება: ქსოვრელები მღერიან

** გუშინ** დღის ოთხი საათისთვის თბილისში ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები საქართველოს ნაკრები დაბრუნდა. სოფია-სტამბოლი-თბილისის ავიარეისით ქართველმა ბერძენ-რომაელებმა და თავისუფლებმა ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს. ბეჟი დარჩიას და ზაზა თურმანიძის გუნდების დასახვედრად აეროპორტში ხალხმა შეკრება თვითმფრინავის ჩამოფრენამდე საათნახევრით ადრე იწყო. სპორტსმენთა ოჯახის წევრებისა და ჟურნალისტების გარდა ბლომად იყვნენ ვეტერანი სპორტსმენები და ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებული გულშემატკივრები.

დამხვდურებში სოფიაში უმედლოდ დარჩენილი კლასიკოსები და თავად ბეჟი დარჩიაც შევნიშნეთ. ბულგარეთიდან სხვებზე ერთი დღით ადრე დაბრუნდნენ და მთავარი ქართული დელეგაციის ჩამოსვლამდე ყურადღების ეპიცენტრში მოექცნენ. მიმლოცველთა სიუხვის მიუხედავად, ბერძენ-რომაელთა თავკაცმა ჩვენთვისაც უპრობლემოდ მოიცალა.

*ბეჟი დარჩია:* „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ორი ოქროს მედალი არასოდეს აგვიღია და როგორ შეიძლება, კმაყოფილი არ ვიყო. ბიჭებმა კარგად იჭიდავეს და მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამ შედეგამდე ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის საქმისადმი სწორმა მიდგომამ მიგვიყვანა და აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ მომავალ დიდ ტურნირებში გამარჯვების კიდევ უფრო მეტი შანსი გვექნება. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია. მისთვის მზადებას აქედანვე დავიწყებთ. არ უნდა მოვდუნდეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასევე გავიხარებთ".

გამოსასვლელში წითელ ფორმაში გამოწყობილი ქართველი მოჭიდავეები გამოჩნდნენ და ტრადიციულად, ქსოვრელებმაც აამღერეს ზურნა-დოლ-გარმონი. წამებში აეროპორტის ფოიეში რამდენიმე წრე გაჩნდა, რომელთა ცენტრებშიც, რა თქმა უნდა, მედალოსანი სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე მოხვდნენ. ყველაზე ბევრმა ხალხმა ჩემპიონების გარშემო მოიყარა თავი.

*მანუჩარ კვირკველია:* „სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია, რამხელა ბედნიერებაა, როცა მომქანცველი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მიზანს მიაღწევ. მე ეს ბედნიერება სოფიაში შევიგრძენი. სიხარულის წუთები ახლაც გრძელდება, მაგრამ მალე ახალი დამღლელი პერიოდი დაიწყება. სექტემბერში სეზონის მთავარი ტურნირი — მსოფლიოს ჩემპიონატი გველოდება".

*რამაზ ნოზაძე:* „მძიმე ტრავმების შემდეგ, როგორც იქნა, დიდ ხალიჩაზე დავბრუნდი და ჩემპიონიც გავხდი. ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული. მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო სერიოზული კონკურენცია იქნება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მოწინააღმდეგეების სახელები და ტიტულები არ მაინტერესებს. მთავარია, ვარჯიშში ხელი არაფერმა არ შემიშალოს და ყველაფერი კარგად იქნება".

თავისუფალი სტილის მწვრთნელ-მოჭიდავეები ფოიედან შედარებით სწრაფად გაუჩინარდნენ და მხოლოდ დამხვდურთა მანქანებთან მოვიხელთეთ. ბრინჯაოს პრიზიორმა ლექსო მოდებაძემ დანანებით გვითხრა, უკრაინელ მოწინააღმდეგესთან საჭიდაოდ გასვლამდე თუნდაც ათი წუთით მეტი დრო რომ მქონოდა დასასვენებლად, ფინალამდეც მივიდოდიო. ვერცხლის მედალოსანმა გელა საღირაშვილმა, — ამ დონის ტურნირზე მედალი პირველად ავიღე, დასაწყისისთვის ვერცხლს არა უშავს და ოქრო შემდეგისთვის იყოსო. ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ კი შვიდეულისგან სამი მედლის მოპოვება ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელ შედეგად შეაფასა და მთავარი სამიზნე — მსოფლიოს ჩემპიონატი ახსენა.

**ოთარ გაღლაძელიძე**



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი გულითადად ულოცავს ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს ბელგრადსა და სოფიაში ახლახანს დამთავრებულ კონტინენტის პირველობებზე ნაჩვენებ შესანიშნავ შედეგს.

ევროპის ჩემპიონატებზე ძიუდოსა და ჭიდაობის სახეობებში მონაწილე ყველა მეორე ქართველი სპორტსმენი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. მოპოვებული სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი კიდევ ერთხელ ადასტურებს სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონეს, მათ ოსტატობასა და შრომისმოყვარეობას. დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატებზე სრულად წარმოჩინდა ჩვენი ათლეტების სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი. მიღწეული შედეგები, რა თქმა უნდა, განაპირობებულია ნაკრებისა და ათლეტთა პირადი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმით, შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელობის გამართული საქმიანობით, სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ წარმატებაში საქართველოს ოლიმპიური ფონდის წვლილს, რომელმაც დააფინანსა ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება და მასში მონაწილეობა.

კონტინენტის პირველობაზე მაღალშედეგიანი ასპარეზობა ნამდვილად კარგი განაცხადია რიო დე ჟანეიროსა (ძიუდო) და ბაქოში (ჭიდაობის სახეობები) შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატების წინ.

დარწმუნებული ვართ, ქართველ ძიუდოისტებსა და მოჭიდავეებს წინ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება ელით.



# ხულიგნები გაყოჩდნენ

## შაბათს ეროვნულ-თბილისური იწყება

**საქართველოს** ნაკრები 2007-08 წლების ერთა თასის პირველი წრის ბოლო მატჩს სტუმრად პორტუგალიასთან ივნისში გამართავს, იქამდე კი შინაური რაგბის ერთგულ ქომაგს მოსაწყენად არ ეცლება. ამ უქმეებზე ექვსგუნდა საქართველოს ჩემპიონატი იწყება.

საქართველოს ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით გაიმართება. ტურნირი ორ წრედ ჩატარდება. პირველი წრის ტურები უქმეებზე იქნება და 28 აპრილიდან 24 ივნისამდე უნდა მოესწროს, მეორე წრე კი 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ჩატარდება.

როგორც ვთქვით, საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება ორ წრედ, შინ და გარეთ პრინციპით ჩატარდება. შინ და გარეთ პრინციპი აქ პირობითია, რაკი ექვსივე უმაღლესლიგელი კლუბი თბილისურია და მოედნების რაოდენობის გათვალისწინებით, ტურნირი ან „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე, ანაც „შევარდენზე" გაიმართება.

წლეულს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ: „ლოკომოტივი", „დინამო", „ყოჩები", „ლელო", „თსუ", „არმაზი".

ამათგან „ლოკომოტივი" მოქმედი ჩემპიონია, „დინამო" შარშანდელი ფინალისტი, „ლელო" ეროვნულის გარდა ლამის ყველა ასაკობრივი ნაკრების საბაზო გუნდია, ხოლო „ყოჩები" წლეულს ალბათ ძველ დიდების დაბრუნებას შეეცდებიან. საქმე ისაა, რომ შარშანდელმა უმაღლესლიგელმა „ხულიგანამ" უსახსრობის გამო ჩემპიონატიც და თასიც შუა გზაზე მიატოვა, ახლა კი „ყოჩებთან" გაერთიანდა და ამ გაერთიანებით შინაურ რაგბიში მძლავრი კლუბიც შეიქმნა.

თსუ და „არმაზი" კი ალბათ ფავორიტებს ბევრჯერ გაამწარებენ, თუმც მათი საპლეიოფო შანსები ერთობ მცირეა.

რაც შეეხება პლეი ოფს, ის მარტივი პრინციპით გაიმართება. რეგულარული გათამაშების პირველადგილოსანი ნახევარფინალში მეოთხეადგილოსანს შეხვდება, მეორეადგილოსანი კი — მესამეს. ერთმატჩა ნახევარფინალები 22 ოქტომბერს ჩატარდება, ფინალი კი 6 ნოემბერსაა დანიშნული.

**ბაჩო სვანიძე**



გიორგი ასათიანი და მისი „ლოკომოტივი" ტიტულის დასაცავად იბრძოლებენ

**საქართველოს ჩემპიონატი. პირველი წრე**

I ტური, 28-29 აპრილი

ლოკომოტივი — არმაზი; თსუ — დინამო; ლელო — ყოჩები

II ტური, 5-6 მაისი

თსუ — ლოკომოტივი; ლელო — დინამო; არმაზი — ყოჩები

III ტური, 19-20 მაისი

დინამო — ყოჩები; თსუ — არმაზი; ლელო — ლოკომოტივი

IV ტური, 26-27 მაისი

დინამო — არმაზი; თსუ — ლელო; ყოჩები — ლოკომოტივი

V ტური, 16-17 ივნისი

ლოკომოტივი — დინამო; არმაზი — ლელო; ყოჩები — თსუ



# ევროპის ჩემპიონატი

## სტრასბური, საფრანგეთი. 16-22 აპრილი

**კაცები**

**105 კგ**

| | |
|---|---|
| 1. მარტინ ტესოვიჩი (სლოვაკეთი) | 411 კგ (187+224) |
| 2. გლებ პისარევსკი (რუსეთი) | 407 (186+221) |
| 3. დმიტრი ლაპიკოვი (რუსეთი) | 402 (185+217) |

**+105 კგ**

| | |
|---|---|
| 1. ვიკტორას შერბატისი (ლიტვა) | 447 (202+245) |
| 2. ევგენი ჩიგიშევი (რუსეთი) | 435 (205+230) |
| 3. პაველ ნაიდეკი (პოლონეთი) | 421 (180+241) |

# სიმაღლე: საქმე და კაცობა



ეს პატარა წერილი ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა სახელით იწერება — ჩვენი უფროსი კოლეგისა და მეგობრის ჯიმშერ ენუქიძის იუბილესთან დაკავშირებით.

ჩვენი ჯიმი 80 წლისა მოყრილა. წლებმა და ამ ჭარმაგობის ჟამს თავსდამტყდარმა საშინელმა ოჯახურმა ტრაგედიამ ვერ გატეხა და წელში ვერ მოხარა. დღემდე შემორჩა ძველებური ვაჟკაცური იერი, რომელსაც ვერაფერს აკლებს თვალებში ჩამდგარი უზომო სევდა.

ჯიმშერ ენუქიძე სპორტულ ჟურნალისტიკაში „ლელოსთან" ერთად მოვიდა და მაშასადამე, ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ლელოელთა შორის, ვინც ეს საქმე — სპორტული ჟურნალისტიკა, პროფესიულ სიმაღლეზე აიყვანა.

დღეს საქართველოში მრავალი სპორტული ჟურნალ-გაზეთი გამოიცემა. ადრე, რამდენიმე ათეული წელიწადი, მხოლოდ „ლელო" იყო. ამიტომაც „ლელოში" მუშაობის დაწყება ისეთივე პროფესიულ წარმატებად ითვლებოდა, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთელისთვის თბილისის დინამოელობა.

ბატონი ჯიმშერი სრულიად ახალგაზრდა გამოჩნდა სპორტული პრესის ფურცლებზე და იქიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნე ამ საქმეში იდგა — საქმისა და სპორტის ცოდნით გამორჩეული. ძველ მკითხველს და სპორტის გულშემატკივარს უთუოდ ეხსომება „ლელოში", მერე კი სხვა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ჯიმშერ ენუქიძის ხელმოწერით. ამ კარგი და მართალი წერილების ავტორს ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია**

# მადლობა მადლისთვის!

## თქვენი წლები ჩვენი სიმდიდრეა

ჩვენი უფროსი კოლეგა ჯიმშერ ენუქიძე იუბილარია. პირველად რომ გავიცანი და დაბადების დღეც პირველად მივულოცე, ორმოცისა იყო და წლებით დამძიმებული კაცი მეგონა. მას შემდეგ მთელი ორმოცი წელი გასულა და უკვე ოთხმოცისა მოყრილა, მაგრამ ისევ ისეთი მხნე, ენერგიული და დაუღალავია, როგორიც ორმოცი წლის წინათ იყო და წლებით დამძიმებული სულაც აღარ გვეჩვენება. ერთი ეგაა, ჯიმშერ ენუქიძეს დღევანდელი ახალგაზრდა თაობა, როგორც სპორტულ ჟურნალისტს, არ იცნობს, მაშინ კი სპორტული პრესის ერთ-ერთი პოპულარული და ცნობილი ავტორი იყო, რომელმაც არაერთი ახალგაზრდა კოლეგა დააკვალიანა.

დღეს მათთან ერთად სარბიელელებიც ვულოცავთ ჯიმშერ ენუქიძეს დაბადების მეოთხმოცე გაზაფხულს და კვლავაც ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



# სტამბოლური მედლები სალონდონედ ჩხრიალებს

**საქართველოს** მოცურავეებმა სტამბოლში ათა თურქის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც 1989-90 და 1991-92 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, პირველ ორ დღეს მოპოვებულ ექვს ოქროს, სამ ვერცხლსა და ოთხ ბრინჯაოს მედალს კიდევ ხუთი სხვადასხვა ხარისხის ჯილდო შემატეს. უფროსი ასაკის სპორტსმენებში სოფო თევდორაძემ 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვების მერე 50-მეტრიან დისტანციაზეც ასევე იყოჩაღა. 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველი იყო ლაშა მეტრეველი, ხოლო უმცროსი ასაკის მოცურავეებში გივი მთვრალაშვილმა მესამე ოქრო 100 მეტრზე ბატერფლაიში დაიმსახურა.

კიდევ თითო მეორე და მესამე ადგილი 50 მეტრზე ბრასით უფროსი ასაკის მოცურავეებმა ილია მანჯგალაძემ და ბესარიონ მდივანმა დაიკავეს, ეს ყველაფერი კი საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურ მდივან ირაკლი ბართაიას ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიოდ ოპტიმიზმს უნერგავს.

**ავთანდილ ძყვიშელი**



# მაკა საფრანგეთში, სამნი ამერიკაში

**სადლაც** ინდოეთის ოკეანეში წარმატებული საფედთასო ბატალიების შემდეგ ქართული ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი სარეიტინგო ტურნირებზე გადაერთო და ამ კვირაში საფრანგეთში, კან სურ მერის თიხნარზე, ITF-ის ეგიდით მიმდინარე საკმაოდ პრესტიჟულ, 100-ათასიან ტურნირზე ითამაშებს.

შეჯიბრი საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში რეიტინგის პირველი ასეულის ექვსი წევრი თამაშობს და პირველ ნომრად კლასიფიკაციის 23-ე ადგილზე მყოფი ფრანგი მარიონ ბარტოლია განთესილი.

მაკას პირველი მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი და რეიტინგში 97-ე ადგილზე მყოფი 23 წლის უკრაინელი იულიანა ფედაკი იქნება და, თუ ამ ბარიერს დაძლევს, მერე ქართველს ან ფრანგი იულია ფედოსოვა შეხვდება, ანაც ავსტრიელი ივონ მეისბერგერი.

კიდევ სამი ქართველი ატლანტის ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სი აილენდის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობს. უფრო სწორად, სამნი იყვნენ და პირველი საკვალიფიკაციო წრის შემდეგ ორნიღა დარჩნენ — სოფო მელიქიშვილს რეიტინგში მასზე დაბლა, 589-ე ადგილზე მყოფმა 21 წლის რუსმა ვასილისა დავიდოვამ 6:4 4:6 6:2 მოუგო. [illegible] ანა ტატიშვილმა და სალომე [illegible] მეტოქეები ორ სეტში დაძლიეს. ანამ 6:4 6:1 სძლია 24 წლის ბრიტანელს, კლასიფიკაციის 429-ე ნომერ კარენ პეტერსენს, ხოლო სალომემ 6:4 6:4 დაჯაბნა რეიტინგში მასზე გაცილებით წინ, 301-ე ადგილზე მყოფი 25 წლის რუსი სალომე კონდრატიევა, ვინც კვალიფიკანტთა შორის მესამე ნომრად იყო განთესილი.

მეორე წრეში ტატიშვილის მეტოქე კვალიფიკანტთა პირველი ნომერი, რეიტინგში 278-ე პოზიციაზე მყოფი ავსტრიელი ტინა შიხტლია, ხოლო დევიძე კლასიფიკაციის 574-ე ნომერს, 27 წლის სლოვენიელ პეტრა რამპრეს დაუპირისპირდება.

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4875 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2595 |
| 6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2595 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2535 |
| 8. ივან ლიუბიჩიი (ხორვატია) | 2220 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2120 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2100 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1905 |
| 13. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1775 |
| 14. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1765 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1745 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1615 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1575 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1380 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1320 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1250 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 346 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 305 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 287 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 212 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 6. ტომი ჰაასი (გერმანია) | 209 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 195 |
| 8. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 171 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 159 |
| 10. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 153 |
| 11. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 145 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 127 |
| 13. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 125 |
| 14. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 121 |
| 15. გილერმო კანასი (არგენტინა) | 120 |
| 16. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 17. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 110 |
| 18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 103 |
| 19. მარდი ფიში (აშშ) | 99 |
| 20-21. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 96 |
| 20-21. კარლოს მოია (ესპანეთი) | 96 |

# FedCup ფედერაციის თასი. მსოფლიო ლიგა მეოთხედფინალი

| პირველი ჯგუფი | მეორე ჯგუფი |
|---|---|
| აშშ 5:0 ბელგია | სლოვაკეთი 0:5 ჩეხეთი |
| რუსეთი 5:0 ესპანეთი | გერმანია 4:1 ხორვატია |
| საფრანგეთი 5:0 იაპონია | კანადა 2:3 ისრაელი |
| იტალია 5:0 ჩინეთი | ავსტრია 4:1 ავსტრალია |

# ამერიკამ დები დაიბრუნა

**ფედერაციის** თასის მეოთხედფინალებზე რაიმე ღირებულის თქმა ცოტა ძნელია, რადგან არც ერთ წყვილში ბრძოლის მაგვარიც კი არაფერი ყოფილა — ოთხივე შეხვედრა პატარების გასილაქებას ჰგავდა. თუმც რამდენიმე ფაქტი მაინც აღვნიშნოთ და დამდეგ ნახევრფინალებზეც ვთქვათ ერთიორი სიტყვა.

ამერიკელთა ჩაუქობით დავიწყოთ, რომლებსაც ბოლოს და ბოლოს ეღირსათ საკუთარი დროშის ქვეშ დებ უილიამსების დარაზმვა — მათ უკანასკნელი ორი წელიწადია, ტრავმები რომ აწუხებდათ, ყველას მოგეხსენებათ, ჰოდა, თავისთავად არც ნაკრებისთვის ეცალათ. თუმც გამოჯანრმთელებულმა დებმა სამშობლოს წინაშე ამჯერად ვალი მოიხადეს და თუ შემდეგაც არ იუარეს ვარსკვლავებით მოჭედილი წითელზოლებიანი დროშის ქვეშ თამაში, იანკები ამ გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები იქნებიან. ამჯერად ამერიკელებმა ბელგიას გადაუარეს და შარშანდელი გაცამტვერებისთვის რევანშიც აიღეს — ისე, სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სტუმრებს არც ჟუსტინ ენინი ჰყავდათ (ტრავმებს იშუშებს) და არც კიმ კლაისტერსი (ჩოგბურთიდან მიდის და სანაკრებოდ თავი აღარ შეიწუხა).

ფედერაციის თასის მეორე უმთავრესი ფავორიტი უეჭველად რუსეთია, რომელიც ამერიკელებზე ნაკლებად ვარსკვლავური შემადგენლობით როდი დაიკვეხნის. ამჯერადაც, ესპანეთთან სუპერშემადგენლობა გამოიყვანა — სვეტლანა კუზნეცოვა, ნადია პეტროვა და ანა ჩაკვეტაძე. ამიტომაც ამერიკელებთან ამათი ნახევრაფინალური ჯახი ძალიან დაძაბული და მეტად საინტერესო სანახავი უნდა გამოდგეს, მით უმეტეს, რომ იქნებ მარია შარაპოვამ ახლა მაინც იკადროს, დანაპირები შეასრულოს და ნაკრებში ითამაშოს.

კარგად გამოიყურება მოქმედი ჩემპიონი იტალიაც, რომელმაც ჩინელებს გადაუარა. თუმც აპენინელებს ხელი აზიელებმაც შეუწყვეს — წინა კვირას ვიუწყებოდით, რომ იქაურ ფედერაციაში ITF-ის წესები სწორად ვერ გაიგეს თუ თარგმნეს და ამის გამო ნაკრები უპირობო ლიდერ ნა ლის გარეშე დატოვეს.



AFP ლომთიძე

ტატიანა გოლოვინის საფრანგეთმა იაპონია გაანადგურა

ნახევარფინალში იტალიელები ფრანგებს უმასპინძლებენ, რომლებმაც იაპონიას გადაუარეს და დაამტკიცეს, რომ ამელი მორესმოს გარეშეც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და წლეულს აუცილებლად გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ორბორბლიანი შუმახერი

**AMSTEL GOLD. ერთდღიანი კლასიკური რბოლა**
**მაასტრიხტი, ჰოლანდია. 250 კმ**

| | |
|---|---|
| 1. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | 6სთ 11 წთ 49 წმ |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | +21 წმ |
| 3. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | +22 წმ |
| 4. მატიას კესლერი (გერმანია, „ასტანა“) | +23 წმ |
| 5. მიქაელ ბოოგარდი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) | +24 წმ |

**ბენილუქსის** ქვეყნებში ერთდღიანი, კლასიკური თუ ნახევრადკლასიკური რბოლების სერია გრძელდება და კვირას ჰოლანდიურ მაასტრიხტში „პრო-ტურის“ სერიაში შემავალი, „ამსტელ გოლდათ“ წოდებული პრესტიჟული კლასიკური რბოლა ჩატარდა.

250 კილომეტრიანი შეჯიბრი გერმანული „გეროლშტაინერის“ გერმანელი მრბოლის, 25 წლის შტეფან შუმახერის გამარჯვებით დასრულდა.

ლეგენდარული ავტომრბოლის მიხაელ შუმახერის მოგვარემ პირველი შეტევა ფინიშამდე ოციოდე კილომეტრით ადრე წამოიწყო. ამ შეტევას კიდევ ექვსი ველოსიპედისტი გამოეხმაურა, თან სულ სახელიანი ხალხი — შუმახერის იტალიელი თანაგუნდელი დავიდე რებელინი, შარშანდელი გამარჯვებული, ასევე იტალიელი დანილო დი ლუკა, კიდევ ერთი აპინენელი, მსოფლიოს ჩემპიონი პაოლო ბეტინი, „პრო-ტურის“ სერიის შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე, „ამსტელ გოლდის“ 1999 წლის ჩემპიონი, ჰოლანდიელი მიქაელ ბიოგარდი, ვინც რბოლის დაწყებამდე განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს დიდი სპორტიდან წავა და გერმანელი მატეას კესლერი.

ამ შვიდეულმა პელოტონთან გვარიანი უპირატესობა მოიპოვა და, როდესაც ფინიშამდე ორი კილომეტრიღა რჩებოდა, შუმახერი მეორე და გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა, რასაც მისმა კომპანიონებმა ველარაფრით უპასუხეს და „გეროლშტაინერის“ მრბოლმა ეულად, 21-წამიანი უპირატესობით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.


AFP მაასტრიხტიდან

„გეროლშტაინერის“ შეფებმა არა მარტო შუმახერის გამარჯვებით გაიხარეს. მეორე ადგილზე რებელინი გავიდა და „პრო-ტურის“ სერიის საერთო ჩათვლაში გალიდერდა.

**პრო-ტურის სერიის საერთო ჩათვლა**

მრბოლები: 1. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) 92 ქულა; 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) 82; 3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) 79; 4. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) 75; ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქოვერი“) 58; 6-7. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“) და ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) 57-57; 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) 53; 9. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) 50; 10-12. როჯერ ჰემონდი (ბრიტანეთი, „T-მობაილი“), სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) და ტადეი ვალჟავეცი (სლოვენია, „ლამპრე“) 45-45

გუნდები: 1. დისქოვერი (აშშ) 109 ქულა; 2. CSC (დანია), 107; 3. ლიქუიგასი (იტალია) 100; 4. კაისე დეპარგნე (ესპანეთი), 94; 5. T-მობაილი (გერმანია) 83; 6. ლამპრე (იტალია) 80; 7-8. რაბობანკი (ჰოლანდია), ასტანა (ყაზახეთი) 79-79; 9. AG2R (საფრანგეთი) 78; 10. ლოტო (ბელგია) 73

# სლოვენიელის ჯორჯია


ჯანეზ ბრაიკოვიჩი

AFP ატლანტადან

**ამერიკული** „დისქოვერი ჩენელის“ სლოვენიელი მრბოლის ჯანეზ ბრაიკოვიჩის გამარჯვებით დასრულდა ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე პოპულარული ველორბოლა, რვაეტაპა „ჯორჯიის ტური“.

გენერალურ კლასიფიკაციაში 23 წლის ბრაიკოვიჩმა 12 წამით აჯობა დანიური CSC-ის ამერიკელ მრბოლ კრისტიან ვანდეველდეს, ხოლო მესამე ადგილზე გასული ესპანელი დავიდ კანადა („სონი დიუვალი“) გამარჯვებულს სამ წუთზე მეტით ჩამორჩა.

ბრაიკოვიჩმა გადამწყვეტი უპირატესობა რბოლის პირველ ნახევარში მოიპოვა და დასკვნით ეტაპებზე თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა.

ბოლო ორი ეტაპი არგენტინელმა ხუან ხოსე აედომ მოიგო, ვინც ახალი სახელია ველოსპორტის სამყაროში და წლეულს, უკვე მერამდენედ გამოირჩა. ორ ეტაპზე, მათ შორის ინდივიდუალურ რბოლაში იმარჯვა „დისქოვერის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ამერიკელმა ლევი ლეიფჰეიმერმა, მაგრამ მან პირველივე ეტაპებზე იმდენი წააგო, რომ სლოვენიელი თანაგუნდელის დაწევას ვინ ჩივის, საბოლოო ჯამში ათეულშიც კი ვერ მოხვდა.

# ერთხელ აშლილი ვეღარ დალაგდა

## ფუენტესის საქმის დასრულებას საშველი არ დაადგა

**არა და არ** დაადგა საშველი შარშან აგორებული ველოსკანდალის, ყბადაღებული სადოპინგო „ფუენტესის საქმის“ დასრულებას. იმის გამო, რომ ვერავის ვერაფერი დაუმტკიცეს, თითქოს ყველაფერი ჩაცხრა, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმა ტოპ-გუნდების ბოსებს სთხოვეს, თუ მოსთხოვეს, რომ უპრესტიჟულესი ფრანგული რბოლისთვის განაცხადში არ შეეყვანათ ის მრბოლები, რომლებიც „ფუენტესის საქმეში“ ფიგურირებენ. „დიდი მარყუჟის“ თავკაცებს ცოტა ხანში მხარი სხვა ორი სუპერრბოლის — „ჯირო დიტალიასა“ და „ვუელტა ესპანას“ ორგანიზატორებმაც აუბეს მხარი და მონასტერი ისევ აირია.

რამდენიმე ცნობილი ველოგუნდის — „ასტანას“, „გეროლშტაინერის“, „T-მობაილის“, „კოფიდისის“, „ფრანსაიზ დე ჟუს“, „ბუიგტელეკომის“ ბოსები სუპერრბოლათა თავკაცების ამ წინადადებას დაეთანხმნენ, მაგრამ, მოულოდნელად, საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა. UCI-ს შეფების აზრით, აუკრძალო სპორტსმენს სეზონის უმთავრეს რბოლებში გამოსვლა მაშინ, როდესაც მისი ბრალეულობა დამტკიცებული არ არის, არაფრის დიდებით არ შეიძლება და ეს იმ 14 გუნდის 31 მრბოლის უფლებებს არღვევს, რომლებიც „ფუენტესის საქმეში“ არიან მოხსენიებულნი.

სხვათა შორის, ამ სიაში იტალიელი ივან ბასოცაა — „ჯიროს“ ჩემპიონი და „ტურ დე ფრანსიდან“, ზედ რბოლის დაწყების წინ მოხსნილი ველოსიპედისტი, რომელიც წლეულს ამერიკული „დისქოვერის“ ღირსებას იცავს.



# პლეი ოფი. პირველი წრე

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი 4:2 ტამპა

**მეექვსე მატჩი**
**ტამპა 2:3 ნიუ ჯერსი**
*0:1 2:2 0:0*

0:1 ჯიონტა (15, უმრა. ელიაში, რაფალსკი), 0:2 რაფალსკი (22, უმრ. ელიაში, გომესი), 1:2 რიჩარდსი (26, უმრ. კუბა, პროსპალი), 1:3 ჯიონტა (26, ელიაში, გომესი), 2:3 რიჩარდსი (31, უმრ. კუბა, ლეკავალიე)

## დასავლეთი

### დეტროიტი 4:2 კალგარი

**მეექვსე მატჩი**
**დეტროიტი 2:1 კალგარი**
*0:0 1:1 0:0 0:0 0:1 (მეორე ოვერტაიმში)*

1:0 იგინლა (24, ლენგკოუ, სტიუარტი), 1:1 ლანგი (37, ბერტუცი, ჩელიოსი), 1:2 ფრანცენი (85, ლიდსტრომი, კალდერი)

# დეტროიტმა ჯადო აიხსნა

**„ნიუ ჯერსიმ“** ბოლოს და ბოლოს გააკეთა ის, რასაც მისგან თავიდანვე ელოდნენ — დაცვითი ტაქტიკის მოტრფიალე „ეშმაკებმა“ მხოლოდ უკანასკნელ ორ შეხვედრაში შეძლეს ვენსან ლეკავალიესა და მარტინ სენ ლუის დუეტის გამოთიშვა, ხოლო მარტინ ბროდომ სერიის საზიზღრად დაწყების შემდეგ, როგორც იქნა, თავის დონეზე ითამაშა და ისტ რუზერფორდელებიც პლეი ოფის მეორე რაუნდში არიან. „ნიუ ჯერსისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბოლო მატჩებში გამოცოცხლდა გუნდის პირველი შემტევი სამეული სკოტ გომესის, პატრიკ ელიაშისა და ბრაიან ჯიონტას შემადგენლობით, რაც „ეშმაკებისთვის“ უდავოდ კარგი ნიშანია „ოტავასთან“ დაპირისპირების წინ. გუშინაც საქმე სწორედ ამ სამეულმა გააკეთა, როცა ჯიონტამ დუბლი შეასრულა და ერთხელაც საგოლედ უპასა ბრაიან რაფალსკის.

გუშინ კიდევ ერთი სერია დასრულდა — „დეტროიტმა“ წყევლად ქცეული პირველი წრე დაძლია და შარშანდელი ფიასკო თავიდან აიცილა. „წითელფრთიანებმა“ „კალგარის“ კლასითაც აჯობეს და არც ძალისმიერ თამაშში ჩამორჩნენ, რასაც მიჩიგანელებისგან არავინ ელოდა.

ეს მატჩი „დეტროიტის“ შურისძიებად იქცა იმ ხორცსაკეპისთვის, რაც „კალგარიმ“ წინა შეხვედრაში მოაწყო — საუბარი სერიის მეხუთე მატჩზე გვაქვს, როცა მესამე პერიოდში „ალები“ მიხვდნენ, რომ იმ მატჩის მომგებები არ იყვნენ, მეტოქის მტვრევასა და ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ. ჰოდა, „დეტროიტმა“ გუშინ შურისძიების საუკეთესო საშუალება მოძებნა და „კალგარი“ მისსავე ყინულზე, უდაძაბულეს ჯახში დასცა (ამ სერიაში სტუმარმა გუნდმა პირველად იმარჯვა). სიმბოლურია, რომ გადამწყვეტი შაიბა კალგარელთაგან ყველა მეტად დაზარალებულმა ფრანცენმა შეაგდო. მეორე ოვერტაიმში მის შორიდან გასროლილს მანამდე ფანტასტიკურად მოთამაშე მიკა კიპრუსოფმა ვერაფერი მოუხერხა.

**ბაჩა ლომაძე**


ბრაიან ჯიონტამ „ტამპა“ ორჯერ დაამწუხრა

AFP ტამპიდან



# ჩემპიონთა ლიგა. კაცები

## ფინალი. პირველი მატჩი

**ფლენსბურგ-ჰანდევიტი (გერმანია) 28:28 კილი (გერმანია)**

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი გერმანული ფინალი უმწვავესი, გაწევ-გამოწევიანი ომით აღინიშნა.

ტრავმებით გაწამებულმა ბუნდესლიგის ლიდერმა „კილმა“ ფლენსბურგში თავიდან ჩამორჩენის (5:8) შემდეგ შეძლო ვითარების გამოსწორება და ტაიმიც მოიგო — 12:10. მატჩის ბედი კი საფინალო სასტვენამდე ორი წამით ადრე გადაწყდა — „კილის“ შვედმა ლეგიონერმა კიმი ანდერსონმა მასპინძელთა კარში ზუსტი ტყორცნით საყაიმო წერტილი დასვა — 28:28.

საპასუხო შეხვედრა კვირას, 29 აპრილს კილში შედგება.

მძლეოსნობა

# გაზაფხული შემოსულა, ლელ



მარტინ ლელმა ლონდონის მარათონი მეორედ მოიგო

5 კილომეტრზე რბენისას გამარჯვებულმა მდევარს 3 წამით რომ მიასწროს ფინიშზე, ეს ამბავი არავის გააკვირვებს, აი, მარათონზე კი სულ სხვა ამბავია, აქ ეს წამები უდაძაბულეს შეჯიბრზე მეტყველებს.

აპრილისთვის არაბუნებრივად ცხელ ამინდში ლონდონის ქუჩებში ისეთი დრამატული რბენა გაჩაღდა, ინგლისელმა ჟურნალისტებმა მაშინვე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მარათონად მონათლეს. საქმე განა მხოლოდ ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის 3-წამიან განხეთქილებაშია, სხვებიც უყოჩაღესად ირჯებოდნენ და ერთბაშად ხუთი მორბენალი ჩაეტია 2 საათსა და 8 წუთში.

რბენა თავიდანვე დაძაბული იგეგმებოდა — აქეთ სუპერეთიოპიელი უნივერსალი სტაიერი ჰაილე გებრსელასიეო, იქით მსოფლიო რეკორდსმენი პოლ ტერგატიო, კიდევ სხვებიო, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, მაროკოელი ხუად ღარიბიო და ლონდონური მარათონის კენიელი ოსტატი ლელ მარტინიო...

თავიდან ყველა ფავორიტი მხარდამხარ მირბოდა და დისტანციის ორი მესამედიც უდრტვინველად გაილია. გებრსელასიე სხვებზე ადრე მოტყდა. დაახლოებით 30 კილომეტრის შემდეგ მან მუცელზე იტაცა ხელი და გზიდან გადავიდა. სხვებმა გააგრძელეს და 40 კილომეტრი ისე ლაღად და მეგობრულად გალიეს, თითქოს ცვრიან ბალახზე მშობლიური აფრიკის ბილიკებზე ვარჯიშობენო. მაგრამ ბოლო ორ კილომეტრზე მარტინ ლელმა მკვეთრად აუჩქარა და ვისაც სირბილის თავი შერჩა, ყველა, ანუ კიდევ ოთხი კაცი მიჰყვა. ძალიან სწრაფად გარბოდა ლელი, სხვებიც, ასე თუ ისე, მიჰყვებოდნენ, განსაკუთრებით მაროკოელი აბდერაჰიმ გუმრი, ვინაც საბოლოოდ მხოლოდ ის სამი წაავგო გამარჯვებულ კენიელთან, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ლელმა კი საკმაოდ სოლიდური დრო აჩვენა — სტარტიდან 2 საათში 7 წუთსა და 41 წამში გადაკვეთა ფინიში და სამ წელიწადში აგერ მეორედ მოიგო ლონდონში.

პირველადგილოსანს ექვსი წამით, მეორე პრიზიორს კი მხოლოდ სამით ჩამორჩა კიდევ ერთი კენიელი ფელიქს ლიმო (2:07.47), ხუად ღარიბი კი მხოლოდ მეოთხე იყო 2:07.59 დროით.

და სად იყო ამ დროს პოლ ტერგატი? მსოფლიო რეკორდსმენს გამძლეობამ სწორედ ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე უმტყუნა და წინ გაჭრილებს ტემპში ვერ აჰყვა. 2:08.06 შედეგით ის მხოლოდ მეექვსეზე იყო.

საკმაოდ საინტერესო გამოვიდა ქალთა რბენაც. აქ სეზონის საუკეთესო შედეგი დამყარდა. ჩინელი ჩუნხუეჟოუ არაერთხელ ჩამოსცილებია ორნახევარსაათიან დროის თამასას, მაგრამ ის სულ მომცრო მარათონებში მონაწილეობდა და ევროპაში არასდროს ურბენია. ახლა კი მან უცებ ლონდონში 2:20.38 შედეგით მოიგო.

**კოტე ყორშია**

სნუკერი

# პირველი სისხლი ჩემპიონმა დაღვარა



სენსაციურად დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ბილიარდის ჯადოსნურ სახეობა სნუკერში. მსოფლიოს 32 საუკეთესო ოსტატი ინგლისურ შეფილდში არკვევს უძლიერესის ვინაობას. უფრო სწორად, ამ ოცდათორმეტს ნელ-ნელა აკლდება ხალხი და პირველი, ვინც დამარცხდა და შეფილდიდან აიბარგა, არც მეტი, არც ნაკლები, შოტლანდიელი გრემ დოტია — მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და წლეულსაც უპირველეს ფავორიტად მიჩნეული სნუკერისტი.

შეიძლება ვთქვათ, რომ დოტს გარკვეულწილად არ გაუმართლა, რადგანაც პირველივე წრეში მისთვის უხერხულ მეტოქეს ეიენ მაკკალოჰს დაუპირისპირდა, ვისთანაც აქამდე ორივე პირადი შეხვედრა წააგო. შოტლანდიელმა ვერც ამ ჯერზე გატეხა მაკკალოჰი და 6:10 დამარცხდა. ერთი კი უნდა ითქვას — დოტი თამაშის მსვლელობისას აშკარად ნერვიულობდა და მისი დონის სნუკერისტისთვის მიუტევებელ შეცდომებს უშვებდა, რითაც მეტოქემ მშვენივრად ისარგებლა.

პირველი წრის ნამდვილი მშვენება იყო ყველაზე ასაკოვანი მონაწილეების, ძველი ჩემპიონების სტივ დევისისა და ჯონ პეროტის მატჩი. პეროტი თავიდანვე 6:1 დაწინაურდა, მაგრამ ექვსგზის ჩემპიონმა დევისმა ზედიზედ ხუთი ფრეიმის მოგებით აღადგინა წონასწორობა. პეროტი ისევ წინ გაიჭრა — 9:6 და დევისმა, ვისაც აგვისტოში 50 წელი უსრულდება, ისევ გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტი, მე-19 ფრეიმი ძალზე დრამატული გამოდგა. მაგიდიდან წითელი ბურთულები რომ გაქრა, შანსებს ორივენი ინარჩუნებდნენ და მერე კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო — დევისის დარტყმის შემდეგ სათამაშო, თეთრი ბურთულა ჩაეშვა მაგიდის ჯიბეში და ვეტერანი ჩემპიონატს დაემშვიდობა.

მრავალნაცად ნაიჯელ ბონდთან საკმაოდ მძიმე ბრძოლაში, მაგრამ მაინც დამაჯერებლად — 10:6 იმარჯვა კიდევ ერთმა ექსჩემპიონმა პიტერ ებდონმა. აი, მეტიუ სტივენსმა და ენტონი ჰემილტონმა კი იოლად მოიგეს და თუ სტივენსის მიერ ირლანდიელი ჯო დელანის 10:2 გადათელვა არავის გაკვირვებია, ჰემილტონი თუ ძლიერ ჰონკონგელ მარკო ფუს 10:3 მოუგებდა, ძნელი წარმოსადგენი იყო.

დაბოლოს, ბრწყინვალე სტილში დაიწყო თამაში ორგზის ჩემპიონმა, ინგლისელმა რონი ოსალივანმა. სნუკერის ჯადოქარმა უნიჭიერეს ჩინელ დინგ ჯუნ ხუს თამაშის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა და პირველივე სათამაშო დღის შემდეგ 8:1 უპირატესობას მიაღწია.

მოტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მესამე ეტაპი


AFP სტამბოლიდან

კეისი სტოუნერის „დუკატი" თურქეთში ყველაზე სწრაფი იყო

# დოქტორმა ბორბლებს ვერ უმკურნალა

ავსტრალიელმა მოტომრბოლმა კეისი სტოუნერმა დამაჯერებლად მოიგო „ისტანბულ პარკში" თურქული გრან პრი. მეორე ადგილზე გასული ესპანელი ტონი ელიაში 21 წლის მწვანე კონტინენტელმა ექვსი წამით ჩამოიტოვა და სათავეშიც მოექცა გენერალურ კლასიფიკაციას.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ კვალიფიკაციაში ყველას კი აჯობა, მაგრამ რბოლისას „დოქტორი" საბურავების პრობლემამ შეაწუხა, რის გამოც ფინიშთან მხოლოდ მეათე მივიდა უზარმაზარი, ოცწამიანი ჩამორჩენით. ვერც ამჟამინდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ნიკი ჰეიდენმა გამოიჩინა თავი — ოდენ მეშვიდე, სულ რაღაც ცხრაქულიან ადგილს დასჯერდა.

სტამბოლში დიდებულად იჯირითა იტალიელმა ანდრეა დოვიზიოსომ. მართალია, 250-კუბიან კატეგორიაში მან ფინიშზე მხოლოდ მიკროსკოპული სხვაობით აჯობა ხორხე ლორენცოს, თუმც დრამატულ ბრძოლაში პირველი თურქული გამარჯვება ლამის აბსოლუტური უპირატესობით — ჰეთ თრიქით (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება) მოიპოვა.

ყველაზე დაბალ, 125 კუბურსანტიმეტრიან კლასში პირველი და სენსაციური მოგება იზეიმა 20 წლის იტალიელმა სიმონე კორსიმ, რომელმაც სწორედ რომ ფოტოფინიშით — წამის მეათედით აჯობა ესპანელ ხუან ოლივეს.

ბოლოს ერთი სასიამოვნო ამბავიც: ერთი თვის წინ ესპანური ეტაპის წინ საშინელ ავარიაში დაშავებული იტალიელი მოტომრბოლი რობერტო ლოკატელი, რომელმაც სახის, გულმკერდისა და მარცხენა ფეხის მძიმე ტრავმები მიიღო, რამდენიმედღიანი კომის შემდეგ არათუ გრძნობაზე მოვიდა, უკვე ბოლონიის კლინიკის დატოვებასა და მის სახლში გადაყვანაზეა ლაპარაკი.

**გია ახალაძე**

### თურქეთის დიდი პრიზი. *ისტანბულპარკი — 5,34 კმ*

**მოტო გრან პრი — 117,5 კმ**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) — 42 წთ; 2,8
2 ტონი ელიაში (ესპანეთი, ჰონდა გრესინი) — ჩამორჩა 6,2
3 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) — 8,1

**საერთო ჩათვლა**

1. სტოუნერი 61 ქულა; 2. ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 51; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 36; 4. ელიაში 35; 5. მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) 30

**250 სმ³ — 106,8 კმ**

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ რეისინგ ჰონდა) — 39 წთ; 31,1
2 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — ჩამორჩა 0,1
2 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) — 0,3

**საერთო ჩათვლა**

1. ლორენცო 70 ქულა; 2. დოვიზიოსო 52; 3. ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) 46; 4. ბატისტა 36; 5. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 24

**125 სმ³ — 101,5 კმ**

1 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) — 40 წთ; 3,6
2 ხუან ოლივე (ესპანეთი, პოლარის აპრილია) — ჩამორჩა 0,1
3 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 1,9

**საერთო ჩათვლა**

1. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) 56 ქულა; 2. ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 47; 3. ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეელორფ დერბი) 46; 4. კორსი 36; 5. ოლივე 33

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეინაბ მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

ეროვნული ბიბლიოთეკა